ეროვნული ბიბლიოთეკა

სარბიელი

სპორტული გაზეთი პარასკევი 3 სექტემბერი 2004 №204 (2225) ფასი 50 თეთრი

ვაჟა ხუციშვილი ტრაპიზონიდან

... საქართველოსთან მოგებისთვის თითოეული თურქი ფეხბურთელი 8 ათას დოლარს მიიღებს.

... ერსუნ იანალმა საქართველო რუსეთის ნაკრებს შეადარა, დაახლოებით ერთნაირ ფეხბურთს თამაშობენო.

... ხვალ თურქებს საქართველოს ძლევა მით უფრო სურთ, რომ ათენში წასვლამდე ფსიქოლოგიურად მოყოჩაღდნენ. მათ ხომ შესანიშნავად იციან, რა ჯოჯოხეთიც ელით მეზობელ ქვეყანაში, რომელიც ევროპის ჩემპიონობით იწონებს თავს.

... აი, შოთა! წამოიყვირა ერთმა პირდაუბანელმა თურქმა ბალღმა და რეზო არველაძისკენ გაიშვირა ხელი...

კურთხევა პრის, ფეხი გაანძრიეთ

გაფრი ჯეოლაძის ფოტო

ნგასოტიატიები სპორტის სასახლეში

ვაჟა ხუციშვილი ტრაპიზონიდან

თურქებმა ქისა აარჩხრიალეს

იანალიმ გურჯები და რუსები ერთმანეთს გადააბა

სასტუმრო „ბუიუქ სუმელადან" დაფეთებული პერსონალი რომ გამოვარდა, მივხვდი, ხუთვარსკვლავიანს საქართველოს ნაკრების ავტობუსი უახლოვდებოდა. პერსონალმა სასტუმროს წინ ჩამწკრივებული ავტომობილების მძღოლებს მანქანები გააყვანინეს, მაგრამ ერთი გაჯიუტდა, ჩემს ავტოს არ გავიყვან, ასეთი ვინ მოდის, რომ ადგილი უნდა დავუთმოო. მას მხოლოდ ორი სიტყვა უთხრეს: „შოთას ნახავ" და ჯიუტმაც თავისი „სახედარი" იქაურობას მოაცილა. მალე პოლიციის სირენა გაისმა და ავტობუსიც გამოჩნდა

კახა კალაძე პირველი ჩამოვიდა, მერე გიორგი დემეტრაძე მოჰყვა, ფეხბურთელები სასტუმროში შედიოდნენ, შოთა არველაძე კი არ ჩანდა. ამასობაში „შეითანის" ახლოდან ნახვის მსურველები მოგროვდნენ. „აი, შოთა!" წამოიყვირა ერთმა პირდაუბანელმა თურქმა ბალღმა და რეზო არველაძისკენ გაიშვირა ხელი. ძალიან კი ჰგავს, მაგრამ ეგ არ არისო, უთხრეს პირდაუბანელს. ავტობუსიდან შოთა ჩამოვიდა და გამცილებელი პოლიციის ესკორტიდან ერთ-ერთი „თანამშრომელი" ეგრევე ჩაეკონა. მერე სხვებმაც არ დაიზარეს „ტრაბზონსფორის" ყოფილი ჯილასთვის ხელის ჩამორთმევა და ქართველ ფორვარდს სალამ-ქალამი ფოიეშიც არ დაჰკლებია.

ალენ ჟირესს თურქმა მასპინძლებმა ყვავილების თაიგული დააბჯენინეს, ფეხბურთელებმა ბარგი შეზიდეს და ნომრებში დაიფანტნენ. ნახევარი საათის შემდეგ კვლავ ფოიეში დაბრუნდნენ. სასტუმროში მავანი თურქი გაბადრული სახით შემოვიდა, რომელსაც ალბათ ერთ-ერთმა მეგობარმა უთხრა, შოთა არველაძე აქ არისო. მავანი შოთასთან მივიდა, მოიკითხა და უკან კმაყოფილი გაბრუნდა. ლიფტიდან ჟირესი გამოვიდა ფურცლეულით, რვა საათზე თეორიულ მეცადინეობა გვაქვსო. უკვე რვის ნახევარი ხდებოდა და მეც ავიბარგე ტრაპიზონისკენ, რადგან რვის შემდეგ მაჩკადან წამოსვლა შეუძლებელია.

რა არის მაჩკა? რამდენიმე თურქს ვკითხე, რას ნიშნავს-მეთქი, მაგრამ ვერავინ მიპასუხა, მაჩკა მაჩკაა, არაფერსაც არ ნიშნავსო.

ტრაპიზონიდან სამხრეთით, ნახევარი საათის სავალზე, ზღვის დონიდან დაახლოებით 2000 მეტრზე მდებარეობს პატარა, მყუდრო, მთებში ჩადგმული ქალაქი, 12 ათასამდე მოსახლით. მთებია იმსიმაღლე, რომ თავები ნისლში აქვთ შეყოფილი. აქ დაბინავდა საქართველოს ნაკრები, რომელსაც ხვალ „ავნი აკერზე" ბრძოლა ელის.

ორი წლის წინ, აგვისტოში ქართველები და თურქები ტრაპიზონში ამხანაგურად შეხვდნენ. მასპინძლებმა 3:0 მოიგეს. მაშინ ოსმალეთში მიმავალმა, სარფში თურქ ტაქსისტებს ვკითხე ვინ მოიგებსმეთქი, მსოფლიოს ბრინჯაოსნობით შეგულიანებულმა ყველამ ერთხმად თურქეთის მოგება იწინასწარმეტყველა, ერთმა კი ანგარიშიც გამოიცნო. ამჯერად ძველებურად გულიანად ვეღარ არიან. სამიდან მხოლოდ ერთმა თქვა, ისევ ჩვენ გაჯობებთო. ორმა პარლამენტის წევრებივით თავი შეიკავა.

თურქეთის ნაკრები გუშინ ჩამოვიდა ტრაპიზონში და „ზორლუ გრანდ ოტელში" დაბანაკდა. აეროპორტში ჩვეული დახვედრა მოუწყვეს. ტაშ-ფანდურა, ცეკვა-თამაში და ვარსკვლავმთვარიანი დროშების ფრიალი იყო. საღამოს ივარჯიშეს, მაგრამ ვერ დავესწარი, რაკი მაჩკაში გახლდით, თუმც ტელევიზიით და გაზეთებითაც ბევრი რამ შევიტყვე.

გასულ ივნისს, თურქეთის ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტის

ლევენტ ბიჩაქჩი ქართველებზე რვა-რვა ათასს ჩამოდის

არჩევნებში ჰალუკ ულუსოის ლევენტ ბიჩაქჩიმ აჯობა. მან ნაკრებისთვის პრემიების გადახდის ახალი სისტემა დაადგინა. სანამ ამ სისტემაზე გეტყვით, მოგახსენებთ, რომ ბიჩაქჩი დანების მკეთებელს ნიშნავს, ანუ პრეზიდენტის წინაპრები ამ ხელობას მისდევდნენ. აი, რა დაადგინა ლევენტ ბიჩაქჩიმ: საქართველოსთან მოგებისთვის თითოეული თურქი ფეხბურთელი 8 ათას დოლარს მიიღებს. მომავალ ოთხშაბათს ათენში ბერძნებთან გამარჯვების შემთხვევაში ეს თანხა ათჯერ (!) გაიზრდება, ჯგუფიდან გასვლისთვის ნაკრებს 10 მილიონ დოლარს (!) ჩაახუტებენ, ხოლო, ნუ გაგიკვირდებათ და... 2006 წელს გერმანიაში მსოფლიოს ჩემპიონები თუ გახდებიან, 22 მილიონ 500 ათასი (!) დოლარი ელით.

ჯერ შესარჩევი ციკლი არ დაწყებულა და თურქები უკვე მსოფლიოს ჩემპიონობისთვის ემზადებიან. ლევენტ ბეიმ სტამბოლში გამართულ პრესკონფერენციაზე თქვა, თურქეთმა ამიერიდან ევროპაში და მსოფლიოში მხოლოდ პირველობისთვის უნდა იბრძოლოსო.

დუნიის ჩემპიონობა გვერდზე მივწიოთ და ახლა ოსმალოთა ამჟამინდელ ნაკრებზე ვთქვათ. მასპინძელთა თავკაცი ერსუნ იანალი ახალგაზრდა და ამბიციური კაცია. თურქეთის ჩემპიონატში გაწვრთნილი მისი გუნდები გოლუხვობით გამოირჩეოდნენ. ნაკრების ჩაბარების შემდეგ იანალიმ ექვსი თამაშიდან ოთხი მოიგო და ორი წააგო, მაგრამ ამ წაგებულ მატჩებშიც თურქეთს მოედანი უგოლოდ არ დაუტოვებია. აქ წამოსვლამდე თურქულ სპორტულ გაზეთებში შევიჭვრიტე და აღმოვაჩინე, რომ იანალის მომხრე-მოწინააღმდეგენი თითქმის თანაბრად არიან. ზოგს სწამს — სწორედ ეს კაცი გახდის ოსმალეთს მსოფლიოს ჩემპიონს, ზოგიც პესიმისტობს და ამბობს, რომ ნაკრებს, რომელიც შინ ბელარუსთან მარცხდება, მომავალი არ აქვს.

საინტერესოა თურქ ქომაგთა აზრიც საქართველოზე. ერთ-ერთი წერს, საქართველოსი არ უნდა გვეშინოდესო, მეორემ, ახლახან მოლდოვასთან წამგებს, როგორ ვერ უნდა მოვუგოთ, ჩემთვის ეს წარმოუდგენელიაო.

ერსუნ იანალმა საქართველო რუსეთის ნაკრებს შეადარა, დაახლოებით ერთნაირ ფეხბურთს თამაშობენო — გურჯები ტექნიკურები კი არიან, მაგრამ დისციპლინა არ უვარგათო. მას მოლდოვა — საქართველოს შეხვედრა ფეხბურთელებთან ერთად გაურჩევია.

თურქთა მთავარმეგოლე ჰაკან შუქურს გუშინწინ 33 წელი შეუსრულდა. იანალმა თქვა, რა ვქნა, მისი შემცვლელი კაცი ჯერ არ მეგულებაო. აქაური მედიის აზრით, ხვალ შეტევაში შუქურ-ნიჰათის წყვილი ითამაშებს. მასპინძლებს მარცხენა მცველი ერგიუნი დაუშავდაოთ და იგი ნაკრებს ვერ დაეხმარება. ტრაპიზონში წამოსვლამდე თურქებს განსაკუთრებით საჯარიმო დარტყმების დახვეწაზე უვარჯიშიათ, ეტყობა, ჩვენი მეკარეების ავან-ჩავანი კარგად იციან. დამხვეწთა შორის საუკეთესო ნიჰათი გამოდგა. სტამბოლიდან გამომგზავრებისას ბიულენთ ქორქმაზმა ასე თქვა: „ჩვენ მოვიგებთ საქართველოსთან და მერე ბედს საბერძნეთში ვცდით". ბიულენთი, ფაქტობრივად, დარწმუნებულია გურჯებთან გამარჯვებაში, ჰამით ალტინტოპი (მას აქ ტიპ-ტოპ ალტინტოპი შეარქვეს) კი უფრო ფრთხილია, იოლ მოგებას არ ველიო.

ხვალ თურქებს საქართველოს ძლევა მით უფრო სურთ, რომ ათენში წასვლამდე ფსიქოლოგიურად მოყოჩაღდნენ. მათ ხომ შესანიშნავად იციან, რა ჯოჯოხეთიც ელით მეზობელ ქვეყანაში, რომელიც ევროპის ჩემპიონობით იწონებს თავს. ამ გარემოებით ეგებ საქართველოს ნაკრებმა ისარგებლოს, რადგან ოსმალო თავქუდმოგლეჯილი წამოვა შეტევაზე.

მაშ ასე, დანების ხელოსნის შვილმა საქართველო თითოეულ თურქს 8-8 ათას დოლარად შეუფასა. მიიღებენ თუ არა ამ ფულს ოსმალები, ხვალვე გაირკვევა.

ალენ ჟირესი: „ნაგება მოდაში არასოდეს ყოფილა"

იქ, სადაც მოლა ვერ მოგვწვდება

ალენ ჟირესი: ნაგება მოდაში არასოდეს ყოფილა

ალენ ჟირესმა დანაპირები შეასრულა — გუშინწინდელი პრესკონფერენციიდან 24 საათის გასვლის შემდეგ, ანუ თურქეთში გამგზავრების წინ, კვლავ უმასპინძლა მედიას. ბუნებრივია, პრესკონფერენცია ხანმოკლე გამოდგა, თუმცა ფრანგს ეს დროც ეყო, რათა მეტოქეზე და მომავალ მატჩზე საქმიანად ელაპარაკა

...ბოლო პერიოდში თურქულმა ფეხბურთმა უზარმაზარი პროგრესი განიცადა და ევროპაში ნებისმიერი ნაკრებისთვის ანგარიშგასაწევი მეტოქეა. განსაკუთრებით საშინაო თურქები საშინაო მატჩებისას არიან.

...თურქული ფეხბურთის განვითარებას საკმაო ხანია, ვაკვირდები. მათ ისეთი კარგი ნაკრები აღარ ჰყავთ, როგორიც 2002 წლის მსოფლიოს ჩემპიონატზე. მას მერე საკმაოდ ბევრი რამ შეიცვალა. თურქებმა ბოლო საშინაო მატჩი ბელარუსებთან წააგეს, მაგრამ მაინც მიმაჩნია, რომ ჩვენ ძალიან ძლიერი მეტოქე გვყავს. საქართველოს ნაკრები მაქსიმალურად უნდა შეეცადოს ბურთის შენარჩუნებას. ეს ჩვენ გვეხერხება. ამის შემდეგ ჩვენი კონტრარგუმენტებიც უნდა ვანახოთ თურქებს. შეტევა აუცილებელია, რათა მეტოქეს შიშის გრძნობა ჰქონდეს.

...მოლდოვაში ჩვენი ნაკრების თამაშში პატარა პრობლემები იყო, მაგრამ ეს არ იყო სათამაშო უდისციპლინობიდან გამომდინარე პრობლემები. რის დახვეწასაც მოვითხოვ, ეს დაზღვევაზე თამაშია.

...ოთარ ხიზანეიშვილი გუშინ გვიან შემოგვიერთდა და დღეს გუნდთან ერთად ივარჯიშა კიდეც. ლევან კობიაშვილი პირდაპირ თურქეთში შემოგვემატება. რაკი ჩამოდის, ესე იგი, ჯანმრთელობასთან დაკავშირებული პრობლემები აღარ აწუხებს.

...საქართველოს პრეზიდენტის სიტყვებს მეც ვეთანხმები — წაგება მოდაში აღარაა, თუმცა დავამატებ, რომ ეს მოდაში არც არასოდეს ყოფილა. რა თამაშსაც უნდა თამაშობდე, მოგებაზე უნდა იფიქრო.

...მოლდოვაში საცხოვრებელი და სავარჯიშო პირობებით კმაყოფილი არ დავრჩენილვარ. თუმცა იქ ვერაფერს გავხდებოდით, ვინაიდან ყველა ორგანიზაციული საკითხი თავად მასპინძლებმა ითავეს. ახლა კი სულ სხვა სიტუაციაა, სასტუმროების სანახავად ჩვენი ხალხი გავაგზავნეთ. სასტუმრო, ძალიან კომფორტული, ტრაპიზონიდან 10-15 წუთის სავალში შევარჩიეთ. იქ ტრადიციული თურქული რელიგიური რიტუალი ძილს ვერ დაგვიფრთხობს. თურქეთში ერთხელ ვივარჯიშებთ იმ სტადიონზე, სადაც თამაში გვექნება.

...ჩამშლელი ფეხბურთელის პრობლემა საქართველოს ნაკრებში მართლაც არსებობდა, მაგრამ ახლა შემიძლია ვთქვა, რომ ჩვენს ნაკრებს ეს პრობლემა აღარ აწუხებს. ასეთი ყიდის ფეხბურთელს მივაგენით და ის თურქეთში აუცილებლად ითამაშებს.

...ტაქტიკაზე კი არაფერს გეტყვით, იგივეს გააკეთებდა ჩემი თურქი კოლეგაც. ყველაფერს თამაშის დღეს ნახავთ.

დავით ერაძე

შვედეთი

სუპერლიგა. XXII ტური

იოსტერსი 4:0 ფალკენბერგი

ფინეთი

ვეიკაუსლიგა. XXII ტური

ინტერი 3:0 ჯაზი

ლაჰტი 1:2 ჰაკა

ჰიკ 0:0 მიუპა

ტპ 47 1:0 კტპ

ირლანდია

პრემიერლიგა. XXV ტური

დუბლინი 0:0 ბოჰემიანი

თქვენ შემოგყურებთ ერი და ეკლესია

საქართველოს ნაკრები გუშინ საღამოს თურქეთს გაემგზავრა. გამგზავრებამდე კი იყო შეხვედრა საპატრიარქოში. ამ ტრადიციამ კეთილი საქმე ათენში უკვე გააკეთა — ქართველი ოლიმპიელები ოქროვერცხლით დაგვიბრუნდნენ. ახლა ჯერი ფეხბურთელებზეა. საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი, უწმინდესი და უნეტარესი ილია II დასავლეთ საქართველოშია და ნაკრების მასპინძლობა საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის ქორეპისკოპოსმა, ზუგდიდისა და ცაიშის ეპისკოპოსმა მეუფე გერასიმემ ითავა. მისი მიმართვა ფეხბურთელებისადმი ასე დაიწყო: დღეს დიდგორობის ბრწყინვალე დღესასწაულია, ძველი ქართული მატიანეები გადმოგვცემენ, რომ წმინდა გიორგის ძალა მუდამ შეეწეოდა ქართულ ჯარს. ღვთის შემწეობა არ მოგკლებოდეთ, თქვენი ქომაგია სრულიად საქართველო, ქალი და კაცი, მოხუცი და ბავშვი.

შემდეგი სიტყვა ალენ ჟირესისა იყო: მე ვიცი, რას ნიშნავს ფეხბურთი საქართველოსთვის. ჩვენ თურქეთში საქართველოს სახელისა და ღირსების დასაცავად მივდივართ, გვსურს, ქართველ ხალხს სიხარული მივანიჭოთ და ჩვენი სახე საუკეთესოდ წარმოვაჩინოთ. მივდივართ და მიგვყვება ქართველი ხალხის და თქვენი კურთხევა. ეს ძალიან მნიშვნელოვანი მხარდაჭერაა ჩვენთვის. იმედი მაქვს, რომ სულიერი მხარდაჭერა თავისას გააკეთებს.

შემდეგ მეუფე გერასიმემ დაუვინყარი დიუსელდორფული მატჩი და ბოლო ქართული საფეხბურთო დღესასწაული, რუსეთის ნაკრების ძლევა გაიხსენა და დასძინა: სადაც უნდა თამაშობდეთ, საქართველოს ნაკრებში თუ თქვენს კლუბებში, გახსოვდეთ, თქვენი ყველაზე დიდი ქომაგი ქართველი ხალხია.

ერთი საგულისხმო დეტალიც, როდესაც მეუფე გერასიმემ შეიტყო, თუ სად ითამაშებდნენ საქართველოს ახალგაზრდული და ეროვნული ნაკრებები, ბრძანა, ისტორიულ ქართულ მინაზე თამაშობთო.

შეხვედრა ქართული ხუთჯვრიანი დროშის კურთხევით და ფეხბურთელებზე ნაკურთხი წყლის პკურებით დასრულდა. ეროვნული ნაკრები თურქეთს ღვთიური მადლით გაძლიერებული გაემგზავრა.

დავით ერაძე
ბადრი კეთილაძის ფოტოები

საქართველოს ნაკრები მსოფლიოს ჩემპიონატის შესარჩევ ეტაპებზე

1998 წლის მსოფლიოს ჩემპიონატი

9 ოქტომბერი, 1996 წელი. პერუჯა
იტალია 1:0 საქართველო
1:0 რავანელი (42)

9 ნოემბერი, 1996 წელი. თბილისი
საქართველო 0:2 ინგლისი
0:1 შერინგემი (15), 0:2 ფერდინანდი (37)

30 აპრილი, 1997 წელი. ლონდონი
ინგლისი 2:0 საქართველო
1:0 შერინგემი (43), 2:0 შირერი (89)

7 ივნისი, 1997 წელი. ბათუმი
საქართველო 2:0 მოლდოვა
1:0 შ. არველაძე (28), 2:0 ქინქლაძე (51პ)

14 ივნისი, 1997 წელი. კატოვიცე
პოლონეთი 4:1 საქართველო
0:1 შ. არველაძე (25), 1:1 ტეჩაკი (35), 2:1 ლეჯვონი (38), 3:1 ბუკალსკი (70), 4:1 ნოვაკი (90)

10 სექტემბერი, 1997 წელი. თბილისი
საქართველო 0:0 იტალია

24 სექტემბერი, 1997 წელი. კიშინიოვი
მოლდოვა 0:1 საქართველო
0:1 ქეცბაია (10)

11 ოქტომბერი, 1997 წელი. თბილისი
საქართველო 3:0 პოლონეთი
1:0 ა. არველაძე (55), 2:0 ცხადაძე (70), 3:0 ქეცბაია (75)

საბოლოო ცხრილი

ინგლისი	8	6	1	1	15:2	19
იტალია	8	5	3	0	11:1	18
პოლონეთი	8	3	1	4	10:12	10
საქართველო	8	3	1	4	7:9	10
მოლდოვა	8	0	0	8	2:21	0

2002 წლის მსოფლიოს ჩემპიონატი

7 ოქტომბერი, 2000 წელი. კაუნასი
ლიტვა 0:4 საქართველო
0:1, 0:2 ქეცბაია (19, 34), 0:3 ქინქლაძე (46), 0:4 ა. არველაძე (85)

11 ოქტომბერი, 2000 წელი. ანკონა
იტალია 2:0 საქართველო
1:0, 2:0 დელ პიერო (11პ, 88პ)

28 მარტი, 2001 წელი. თბილისი
საქართველო 0:2 რუმინეთი
0:1 მუნტიანუ (69), 0:2 კონტრა (81)

2 ივნისი, 2001 წელი. თბილისი
საქართველო 1:2 იტალია
0:1 ტოტი (7), 0:2 დელვეკიო (45), 1:2 გახოკიძე (80)

6 ივნისი, 2001 წელი. ბუდაპეშტი
უნგრეთი 4:1 საქართველო
1:0 მატიუსი (40), 2:0 შებოკი (45პ), 3:0, 4:0 კორსოში (55, 62), 4:1 კობიაშვილი (77)

1 სექტემბერი, 2001 წელი. თბილისი
საქართველო 3:1 უნგრეთი
1:0 შ. არველაძე (35), 1:1 მატიუსი (43), 2:1 ჯამარაული (49), 3:1 იაშვილი (65)

5 სექტემბერი, 2001 წელი. თბილისი
საქართველო 2:0 ლიტვა
1:0, 2:0 იაშვილი (82, 84)

6 ოქტომბერი, 2001 წელი. ბუქარესტი
რუმინეთი 1:1 საქართველო
0:1 იაშვილი (55), 1:1 პოპესკუ (89)

საბოლოო ცხრილი

იტალია	8	6	2	0	16:3	20
რუმინეთი	8	5	1	2	10:7	16
საქართველო	8	3	1	4	12:12	10
უნგრეთი	8	2	2	4	14:13	8
ლიტვა	8	0	2	6	3:20	2

მეგოლეები

ალექსანდრე იაშვილი	(ფრაიბურგი, გერმანია)	4
თემურ ქეცბაია	(ანართოსისი, კვიპროსი)	4
შოთა არველაძე	(რეინჯერსი, შოტლანდია)	3
გიორგი ქინქლაძე	(უგუნდო)	2
არჩილ არველაძე	(უგუნდო)	2
ლევან კობიაშვილი	(შალკე, გერმანია)	1
გოჩა ჯამარაული	(მ. დონეცკი, უკრაინა)	1
გოგა გახოკიძე	(მ. დონეცკი, უკრაინა)	1
კახა ცხადაძე	(ანჟი, რუსეთი)	1

იტალიელებთან ოთხ შეხვედრაში ერთადერთი დასაკვეხნი: გიორგი გახოკიძის თბილისური გოლი

მსოფლიო და სიტუაციები არ უნდა გასამდეს

4 **სექტემბრიდან** საქართველოს ეროვნული ნაკრები მესამედ დაიწყებს მსოფლიოს ჩემპიონატის შესარჩევ ეტაპს. წინა ორ ციკლში ჩვენებს წარმატებისთვის არ მიუღწევიათ, თუმცა იყო რამდენიმე კარგად ჩატარებული მატჩი და სკანდალური ისტორიებიც.

საფრანგეთი 98-ის შესარჩევის პირველი მატჩი იტალიასთან საქართველოს ნაკრებმა თითქმის უთავდამსხმელოდ ითამაშა — ალექსანდრე ჩივაძემ „დაცვას მიხედა", თუმც მისმა დამოძღვრილმა გუნდმა რამდენიმე საგოლე მომენტი მაინც შექმნა. მომდევნო მატჩი ჩვენს უმთავრეს გუნდს შინ ჰქონდა ინგლისთან და საქართველოს ფეხბურთის ფედერაციამ ბილეთის ცეცხლის ფასი დაადო — ყველაზე პრესტიჟული ადგილი 50 ლარი ღირდა. პოლ გესქოინის, დევიდ ბექემის და ტედი შერინგემის სანახავად სტადიონზე ბლომად ვერ მივიდა ქართველი ქომაგი. ჩივაძის გუნდი ძალიან მშიშარა კოლექტივს ჰგავდა, ძალიან უჯიგროდ ითამაშა და ისე წააგო 0:2. მატჩი ჯერ კიდევ არ იყო დამთავრებული, როცა საქართველოს ნაკრების უნიათობით აღშფოთებულმა ქომაგმა არენაზე პლასტმასის ბოთლები გადმოყარა. ჩივაძე ნაკრებიდან წავიდა და ბოთლებით ნაგვემი გუნდი დავით ყიფიანმა ჩაიბარა. ყიფიანის ხელში ნაკრებმა ათი ქულა მოაგროვა, შინ იტალიას ნულოვანი ფრე ეთამაშა, რის გამოც „სკუადრა აძურა" ჯგუფში მეორე ადგილზე გავიდა და პლეი ოფში თამაშმა მოუწია.

ყიფიანის ხელში ნაკრებს ჩავარდნაც ჰქონდა — კატოვიცეში პოლონეთთან 1:4 წააგო და ამას შიდა სკანდალიც მოჰყვა. სააგენტო „როიტერმა" საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის ერთ-ერთი ჩინოსნის ცალტატა გამოაქვეყნა, თამაშის მერე ფეხბურთელები თვითმფრინავში დათვრნენ და დებოში ატეხესო. ფედერაციასა და ნაკრების მწვრთნელ-ფეხბურთელებს შორის ურთიერთობა ძალიან გამწვავდა. შესარჩევი ციკლის დასრულების შემდეგ ნოდარ ახალკაცის ფედერაციის აღმასკომმა დავით ყიფიანის ნაკრებში მუშაობა დადებითად შეაფასა, მაგრამ გუნდიდან ის მაინც დაითხოვა.

მსოფლიოს ჩემპიონატის მომდევნო შესარჩევ რაუნდში ფედერაციას უკვე მერაბ ჟორდანია ხელმძღვანელობდა, ხოლო ნაკრებს მწვრთნელთა დუეტი — დავით ყიფიანი და რევაზ ძოძუაშვილი. გუნდმა ციკლი ძალიან კარგად კი დაიწყო, მაგრამ შემდეგ მწვრთნელ-ფეხბურთელებს შორის გაფუჭდა ურთიერთობა — ნაკრებში ზოგ ისეთ ფეხბურთელს იწვევდნენ, რომელთა სანაკრებო პოტენცია ძალიან დიდ ეჭვს იწვევდა. კულუარებში მალე იმაზეც ალაპარაკდნენ, რომ ნაკრები სავაჭრო დახლად გადაიქცა და ფეხბურთელების სარფიან ტრანსფერებს ემსახურებოდა. სამწუხაროდ, კულუარული ინფორმაციები ხშირ შემთხვევაში მართალდებოდა. ნაკრებში მტკიცე გუნდური სული არ ტრიალებდა, რაც შედეგზეც აისახა. უნგრეთთან წაგებული 1:4-ის შემდეგ დავით ყიფიანი გადადგა, რევაზ ძოძუაშვილი კი გადადგომას არ აპირებდა, მაგრამ მაინც გადააყენეს. ნაკრებს კვლავ ალექსანდრე ჩივაძე ჩაუდგა სათავეში. გუნდი გამთლიანდა, ნაკრებში არანორმალური სიტუაცია აღარ იყო და ბოლო სამი უმოტივაციო შეხვედრიდან ჩივაძის გაწვრთნილმა გუნდმა ორი მოიგო და ერთი ფრედ დაამთავრა.

დავით თავართქილაძე

მსოფლიოს 2006 წლის ჩემპიონატის შესარჩევი ეტაპის დაწყებამდე ფიფამ მეგობარ „კოკა-კოლასთან" ერთად საპირველსექტემბრო რეიტინგი გამოაქვეყნა.

ახალი სია ჩვენთვის სასიკეთოს ვერაფერს გვეუბნება, რაკიღა საქართველოს ნაკრებმა ცოტა ხნის წინ მოლდოვასთან ამხანაგურ მატჩშიც წააგო და სამი საფეხურით დაქვეითდა, თუმც ჩვენს თანაჯგუფელებსაც არ დასტყობიათ პროგრესი — საბერძნეთმა (14), დანიამ (15) და ალბანეთმა (94) ადგილები შეინარჩუნეს, თურქეთმა, უკრაინამ და ყაზახეთმა კი ქართველთა ბედი გაიზიარეს.

თურქეთთან ოფიციალურ მატჩამდე საათებიღა დარჩა და ხასიათი რომ „გამოვიკეთოთ", გეტყვით — ოსმალოებმა ჩვენგან არცთუ შორს მდგომ ბელარუსთან წაგების გამო დაკარგეს ათეულის ადგილი. ასე რომ...

აქვე ლიდერებზეც ვთქვათ: მსოფლიოს ისევ ბრაზილია დაჰყურებს, საფრანგეთი და ესპანეთი მეორე-მესამე ადგილებს ინაწილებენ. შესაძლოა, გაგიკვირდეთ, ოლიმპიურ ჩემპიონ არგენტინას ფეხი რომ არ მოუცლია, თუმც მიზეზი მარტივია — ოლიმპიადაზე ახალგაზრდული ნაკრებები თამაშობენ და ფიფას მათი შედეგები საერთოდ არ აინტერესებს.

ერთი გაქანება და მორჩება ჩაქანება

FIFA Coca-Cola WORLD RANKING

1	1	ბრაზილია	848	15	15	დანია	707
2	2	საფრანგეთი	802	16	16	ირლანდია	697
3	3	ესპანეთი	788	16	16	კამერუნი	697
4	4	არგენტინა	775	18	20	იაპონია	695
5	5	ჩეხეთი	760	19	19	ურუგვაი	693
6	6	ჰოლანდია	746	20	18	ნიგერია	691
7	7	ინგლისი	732				
8	8	მექსიკა	728				
9	9	იტალია	722				
10	10	აშშ	717	87	85	უკრაინა	499
11	12	პორტუგალია	714				
11	13	გერმანია	714	94	94	ალბანეთი	479
13	11	თურქეთი	711	112	109	საქართველო	418
14	14	საბერძნეთი	709	145	144	ყაზახეთი	304

I გრაფა – ადგილი; II – ადგილი წინა თვეში; III – ქვეყანა; IV – ქულა

ტრაპიზონში ჩემთვის არასოდეს დაუსტვენიათ

თურქეთში თეატრი არ უყვართ

ეროვნული ბიბლიოთეკა

ალენ ჟირესი

რაც ალენ ჟირესი ჩაუდგა სათავეში საქართველოს ეროვნულ გუნდს, ნაკრებში მთავარმეგოლე შოთა არველაძეს აღარ უთამაშია. სათუო იყო მისი სათურქეთ-საალბანეთოდ ნაკრებში ჩამოსვლაც, მაგრამ მუხლნაოპერაციევი არველაძე ახლა გუნდთანაა.

არველაძის ფიზიკურ მდგომარეობას ასპროცენტიანი არ ეთქმის, მაგრამ ნაკრებს ბოლო ორ მატჩში გოლი არ გაუტანია და მისი კლასის ფორვარდი ძალიან სჭირდება.

4 სექტემბერს თურქებს ტრაპიზონში ვეთამაშებით, იმ ქალაქში, სადაც შოთას თაყვანს სცემდნენ და სიმღერებს უმღეროდნენ. „ტრაბზონსფორში“ ტყუპისცალმა თურქეთის ჩემპიონატის 94 მატჩში 62 გოლი გაიტანა, 1995-96 წლების სეზონში კი თურქეთის ჩემპიონატის ბომბარდირი გახდა უპენალტოდ გატანილი 25 გოლით

— შვიდი წელია, ტრაპიზონში გოლი აღარ გაგიტანია...

— იმიტომ, რომ 1997 წლის შემდეგ ტრაპიზონში მხოლოდ ერთხელ ვითამაშე — შარშანწინ თურქეთთან ამხანაგურ მატჩში. ახლა კი ღმერთმა ქნას, თურქულ გოლებს ერთი მაინც მივუმატო — „ტრაბზონსფორში“ რაგინდარა ტურნირებზე სულ 92 გოლი მაქვს გატანილი.

— „რეინჯერსში“ ბოლო ორი მატჩი მარჯვენა ნახევარმცველად ითამაშე...

— ნაკრებშიც ნახევარმცველად ნაღდად ვერ ვითამაშებ.

— სრული დატვირთვით ორი ტაიმის თამაში შეგიძლია?

— თუ ჩვეულ ადგილას, თავდამსხმელად მათამაშებენ, ორივე ტაიმს უპრობლემოდ ვითამაშებ.

— ტრაპიზონული გოლებიდან ყველაზე უფრო რომელს გამოარჩევდი?

— არ მახსოვს, ვის ვეთამაშებოდით, მაგრამ დაახლოებით 11-12 მეტრი ბურთის თავით კენწვლით გავირბინე და მერე ფეხით შევაგდე.

— ტრაპიზონელ გულშემატკივრებზე რას იტყვი?

— გიჟები არიან, ნამდვილი ფანები. საერთოდ, თურქეთი ხომ ცნობილია მაგარი გულშემატკივრობით, ჩვენთან კი ნაკრების თამაშები თითქმის თეატრივით იყო, თუმც ბოლო დროს სიტუაცია უკეთესობისკენ შეიცვალა.

— როგორ ფიქრობ, 4 სექტემბერს როგორ შეგხვდება ტრაპიზონელი გულშემატკივარი?

— თამაშის წინ და მერე ალბათ კარგად, თამაშის დროს კი... ტრაპიზონში ჩემთვის არასოდეს დაუსტვენიათ.

— ამ შესარჩევი ციკლის წინ ნაკრებიდან წასვლაზე ფიქრობდი, მაგრამ კვლავ ნაკრებში თამაში არჩიე...

— ქვეყანა გამოცოცხლდა, ოლიმპიური ოქროს მედლები მოვიპოვეთ, ბევრი რამ სასიკეთოდ შეიცვალა. ნაკრებში თამაში ყოველთვის მინდოდა, ყოყმანი ჩემი ფიზიკური მდგომარეობით იყო გამოწვეული.

— შენი აზრით, თურქეთის ნაკრებს რა თამაში უნდა დავუპირისპიროთ?

— ეგ რომ ვიცოდე, მწვრთნელი ვიქნებოდი.

— როგორ ფიქრობ, ეს შესარჩევი ციკლი საქართველოს ნაკრებისთვის განსაკუთრებული იქნება?

— განსაკუთრებული იქნება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მსოფლიოს ჩემპიონატის ფინალურ ეტაპზე მოვხვდებით.

დავით თავართქილაძე

geo_geo_fan@hotmail.com

მუსიე ჟირეს, აჩუქეთ ბავშვს ველოსიპედი

მოვიფშვნიტოთ ხელები და შევუდგეთ საქმეს. ჩვენი რუბრიკის დღევანდელი თემა საქართველოს ნაკრების მოახლოებული მატჩია, რომლითაც ქართველები 2006 წლის მსოფლიოს ჩემპიონატის შესარჩევ ციკლს ვიწყებთ. მოგეხსენებათ, ჩვენი ეროვნული გუნდის პირველი მეტოქე თურქეთის ნაკრებია და მატჩამდე, ანუ 4 სექტემბრამდე გთხოვთ, მოგვწეროთ, თუ რისი იმედი უნდა გვქონდეს ტრაპიზონში. ნამატჩევს შეხვედრის თქვენეული შეფასება გამოგვიგზავნეთ, ამასობაში ალბანეთთან მატჩიც მოვა და იმაზე გავაგრძელებთ საუბარს.

ახლა კი დღევანდელი ფოსტა გავარჩიოთ. პირველ რიგში თელაველ ბიჭუნას მინდა ნატვრის ახდენა ვუსურვო. ამ ბიჭის მამა გვწერს:

— არა, რა, ორი აგური უნდა მეჭიროს ხელში... ჩემს შვილს შევპირდი, რომ თუ საქართველო მოიგებს (რაშიც ეჭვი არ მეპარება), ველოსიპედს გიყიდი-მეთქი. არადა, რითი ვუყიდო? ნოტინგემის გადამკიდეს ხელფასიდან კაპიკი აღარ შემრჩა.

ერთი შეხედვით, გვარიანად მძიმე ვითარებაა. მოგეხსენებათ, ბავშვს რამეს რომ დაპირდები, უნდა შეუსრულო კიდეც. მამის გაკიცხვას, წინდაუხედავად რომ მოიქცა და მთელი ხელფასი ბუქმეიკერებს პატიოსნად ჩაბარა, აზრი აღარ აქვს. ერთი პირობა გავიფიქრე, საუკეთესო გამოსავალი ის იქნება, ჩვენმა ნაკრებმა წააგოს და კაცი სიტყვის გატეხვას გადაარჩინოს-მეთქი, მაგრამ როგორ გინდა, თურქებს უქომაგო?! ამიტომ ასეთი გამოსავალი მოვძებნე: ჩვენებმა მოიგონ, მერე ათათი ლარი შეაგროვონ და თელაველ ბავშვს ველოსიპედი უყიდონ. მგონი, კარგი გამოსავალია, მაგრამ რამდენად რეალურია, თქვენ განსაჯეთ.

მომდევნო წერილსაც, რომელიც თქვენს სამსჯავროზე მინდა გამოვიტანო, ბოლოში დიდი კითხვის ნიშანი უწერია, ოღონდ ეს უფრო რიტორიკული კითხვაა.

MAMALADZE 12: „ამდენი ნელია ვფიქრობ და ვერ გამიგია, ეს ჩვენი ფეხბურთელები კლუბებში რომ გლიჯავენ, მერე ნაკრებში რა ემართებათ? მე მგონია, რომ თავს თუ არ დაზოგავენ, მოგება შეგვიძლია“.

პატივცემულო MAMALADZE, ჯერ ერთი, გლიჯავენ კი არა, გლეჯენ; მეორეც: რამე უფრო მარტივი კითხვა ხომ არ გაქვს?

ისე, რაღაც კითხვა-პასუხის დღე გვაქვს. ჩვენი მომდევნო ავტორი ქეთუშა პირდაპირ გვთხოვს კითხვაზე პასუხს: „ჩვენი ფეხბურთელები ყველანი მიყვარს, განსაკუთრებით კი კალაძე და კობიაშვილი. მაგათმა თუ კარგად ითამაშეს, დარწმუნებული ვარ, არ წავაგებთ. თქვენ როგორ გგონიათ?“

ძვირფასო ქეთუშა, უნდა გაგაწბილო და გითხრა, რომ კობიაშვილის ამბავი გარკვეული არ არის. სიბრძნის კბილი ამოიღო და იმდენად გაუმიზეზდა, რომ „შალკეში“ რამდენიმე მატჩიც გამოტოვა. ასე რომ, კარგ ფორმაშია თუ არა, ვერაფერს მოგახსენებ.

ძლივს! ძლივს არ წავაწყდი წერილს, რომელშიც არაფერს გვეკითხებიან, მაგრამ... ადგილის სიმჭიდროვის გამო იძულებული ვარ, რამდენიმე წერილი ხვალისთვის შემოვინახო.

WEB ოსტატი ბუარა

geo_geo_fan@hotmail.com

დავით ყიფიანის თასი

1/16 ფინალი. საპასუხო მატჩები. დღეს

ამერი თბილისი (I)	—	ჩიხურა საჩხერე (I) (2:1)
გურია ლანჩხუთი (I)	—	ტორპედო ქუთაისი (0:6)
ეგრისი სენაკი (II)	—	კოლხეთი ფოთი (0:5)
ხობი (II)	—	ბათუმი (0:4)
მაღაროელი ჭიათურა (I)	—	ზესტაფონი (2:3)
ივერია ხაშური (I)	—	ლოკომოტივი თბილისი (0:3)
ბორჯომი (I)	—	სიონი ბოლნისი (2:2)
ჭაბუკიანი (II)	—	რუსთავი (I) (1:2)
ცხუმი სოხუმი (II)	—	სპარტაკი თბილისი (I) (1:3)
მუხრანი (II)	—	ცხინვალი (I) (0:2)
მილანი-მერანი თბილისი (I)	—	კახეთი თელავი (I) (2:0)
საგარეჯო (I)	—	პრემა თბილისი (II) (0:1)

ფეხბურთი

ფკ ამერის სკოლა

საქართველოს თასი

3 სექტემბერი

1/16 ფინალი. საპასუხო მატჩი

ამერი — ჩიხურა

თბილისი — საჩხერე

დასაწყისი 16 საათზე. დასწრება უფასოა

მის: თიანეთის გზატკეცილი 25

(გლდანულას გადასახვევთან)

ეს ჩემი იუვეა!

ფაბიო კაპელო და ლუჩანო მოჯი

მოჯის ტყუილიც მართალია

„ბოდიშს ვიხდი ტყუილებისთვის, მაგრამ რა უნდა მექნა, ასეთი ძნელი სამუშაო მაქვს“ — განაცხადა „იუვენტუსის“ გენერალურმა დირექტორმა ლუჩანო მოჯიმ. მაშ ასე, ზაფხულის სატრანსფერო ბაზარი დაიკეტა, მოჯიმ, რომელსაც ბოლო წამამდე უმოქმედობას საყვედურობდნენ, ბოლო დღეს დიდი ხრიკი მოაწყო — ჩემპიონთა ლიგაში ჯგუფის მეტოქისგან, „აიაქსისგან“ შვედი ვარსკვლავი, ზლატან იბრაჰიმოვიჩი იყიდა, ხოლო რამდენიმე დღით ადრე „ინტერს“ ვეტერანი მცველი, ფაბიო კანავარო გამოსტყუა.

„ყველაფერი იმთავითვე გულწრფელად რომ მეთქვა, ამ ტრანსფერების მოგვარება ძალიან გამიჭირდებოდა. კანავაროსა და იბრაჰიმოვიჩთან დაკავშირებული მოლაპარაკებები ძნელად მიმდინარეობდა, მაგრამ ახლა ამას მნიშვნელობა აღარ აქვს, მთავარია, რომ ისინი აქ არიან და ეჭვი არ მეპარება, რომ „იუვენტუსისთვის“ დიდ საქმეს გააკეთებენ. ახლა უკვე კარგი გუნდი გვყავს და ნებისმიერ მოწინააღმდეგეს გავუწევთ კონკურენციას“.

მაგრამ იმავე ბოლო დღეს მოჯიმ ერთობ კოლორიტული თავდამსხმელი, ფაბრიციო მიკოლი მოულოდნელად „ფიორენტინას“ მიჰყიდა.

„დიახ, ძალიან მნიშვნელოვანი ფეხბურთელის დათმობა მოგვიხდა — განმარტა მოჯიმ — გულს იმით ვიმშვიდებთ, რომ მიკოლის სანახევრო მფლობელები მაინც ვართ და ამ სეზონში მის თამაშს კიდევ ერთხელ მივადევნებთ თვალს. სამწუხაროა, რომ „უდინეზესგან“ მარეკ იანკულოვსკი ველარ ვიყიდეთ, თორემ ესეც რომ მოგვეხერხებინა, მეტისმეტად გავძლიერდებოდით“.

ამის შემდეგ მოჯიმ მაყურებელსაც იგივე სთხოვა, რაც თავად გააკეთა — ჯიბეზე ხელი გაიკარითო:

„ამ სეზონში ჩვენი მიზანია 35 ათასი აბონემენტი გავყიდოთ და იმედი მაქვს, რომ ქომაგებს საამისო ენთუზიაზმი ექნებათ“.

მოჯის შენაძენებით კმაყოფილი დარჩა „იუვეს“ მწვრთნელი ფაბიო კაპელოც.

„აი, ეს უკვე ჩემი „იუვენტუსია“ — ბრძანა ტაქტიკოსმა — მე ძლიერი ფეხბურთელები მყავს და მწამს, როგორც იტალიაში, ასევე ევროპაში, კონკურენტუნარიანნი ვიქნებით“.

ადრეც გვითქვამს, რომ რაც „რომადან“ ტურინში გადაბარგდა, კაპელო ახალ შეფებს რამდენიმე ახალ მოთამაშეს სთხოვდა და საბოლოოდ მიიღო კიდეც.

„ბედნიერი ვარ, იბრაჰიმოვიჩი რომ ვიყიდეთ. ის მაღალი კლასის ფეხბურთელია და მისი შეძენა აშკარად სამომავლო კაპიტალდაბანდება იყო“ — აღნიშნა კაპელომ, რომელსაც ახალ გუნდში თვალს ახალგაზრდა ურუგვაელი ნახევარმცველი, რუბენ ოლივეირა ჭრის.

„ოლივეირა ახალგაზრდაა და მას მოთმინებით და დაკვირვებით უნდა მივუდგეთ, არ არის საჭირო კარგად თამაშის შემთხვევაში მისი ცაში აყვანა, ხოლო წარუმატებლობის გამო ლანძღვა. ნუ დაგვავიწყდება, „იუვენტუსში“ ტიერი ანრისა და „მილანში“ პატრიკ ვიეირას თავგადასავალი. მთავარი მოთმინებაა“ — დასძინა კაპელომ. და ბოლოს, მწვრთნელს ახლა საბაზისო და ტაქტიკური სისტემის არჩევაც შეუძლია. მიმომხილველების აზრით, თუ კაპელო კლასიკურ 4-4-2-ით ითამაშებს, „იუვენტუსის“ შემადგენლობა ასეთი იქნება: ბუფონი, ძებინა, ტურამი, კანავარო, ძამბროტა, კამორანეზი (ოლივეირა), ემერსონი, ბლაზი (ტაკინარდი), ნედვედი, დელ პიერო, ტრეზეგე (იბრაჰიმოვიჩი)

ხოლო თუ მწვრთნელი არჩევანს 4-3-2-1-ზე შეაჩერებს, მაშინ ასეთი: ბუფონი, ძებინა, ტურამი, კანავარო, ძამბროტა, ემერსონი, ბლაზი (ტაკინარდი), ნედვედი, დელ პიერო, იბრაჰიმოვიჩი, ტრეზეგე.

პაპუნა კედია

მარჩელო ლიპიმ ნაკრებში 4-4-2 სისტემა გამოსცადა. თავდასხმაში, ამ ექსპერიმენტისას, „იუვენტუსის“ ყოფილ თავკაცს მორიგეობით ფაბრიციო მიკოლი, ალბერტო ჯილარდინო და ბერნარდო კორადი ჰყავდა. ეს ამბავი „სკუადრა აძურასა“ და იტალიის 18-წლამდელთა ნაკრების ამხანაგურ შეხვედრაში მოხდა, რომელშიც დიდებმა 5:0 გაიმარჯვეს

ნეტავ ვინ დაჭდებაა?

მარჩელო ლიპი

„შეხვედრამ რამდენიმე პოზიტიური სიგნალი მომცა — განუცხადა შემდეგ ლიპიმ ჟურნალისტებს — დავინახე, რომ ამ დღეებში, რაც შეკრებაზე ვართ, ფეხბურთელებს ასი პროცენტით მოუნდომებიათ“.

აღსანიშნავია, რომ კუნთის ტკივილის გამო ჯერ სრული დატვირთვით ვერ ვარჯიშობს ალესანდრო დელ პიერო, რომელსაც ოთხშაბათს იმავე მიზეზით გვერდით ალესანდრო ნესტაც მიუჯდა.

„ნესტამ ბოლო კვირაში „მილანის“ შემადგენლობაში ივარჯიშა ძალიან ბევრი, ასე რომ, პირველივე მცირე პრობლემისთანავე მე პირველმა მოვითხოვე მისი დასვენება, რაც შეეხება დელ პიეროს, მას ჯერ კიდევ აწუხებს მოურჩენელი კუნთი, თუმცა ვფიქრობ, დღეს-ხვალ სრული დატვირთვითაც შეძლებს ვარჯიშს. მართალი რომ გითხრათ, შაბათს, ნორვეგიასთან ძარითად შემადგელობაში ვინ იქნება, ჩემთვის უკვე ნათელია, ხოლო სათადარიგოთა სკამზე ვის დავსვამ, ეს ჯერ არ ვიცი“ — განაცხადა მწვრთნელმა, რაც იტალიელმა ჟურნალისტებმა ისე „გადათარგმნეს“, რომ თუ დელ პიერო ახლაც არ მოხვდება ძირითადში, მაშინ მას სერიოზული პრობლემები გაუჩნდება, რადგან მის საქმეს სულ უკეთ და უკეთ ართმევს თავს ფაბრიციო მიკოლი.

პაპუნა კედია

სად წასულა, სად?!

მანჩინი კანავაროს არ მისტირის



„ინტერმა“ აწ უკვე გასულ სატრანსფერო სეზონში, საყოველთაო აზრით, ძალიან კარგად იმუშავა და გუნდი გააძლიერა, მაგრამ მწვრთნელი, რობერტო მანჩინი მაინც უკმაყოფილოა. კერძოდ, მანჩოს ძალიან დაწყდა გული ფაბიო კანავაროს „იუვენტუსში“ გაშვებასა და „ლაციოდან“ სეზარის ვერგადაბირებაზე.

„ეს საქმე მთლად გადაწყვეტილი არ იყო, მაგრამ ბრაზილიელი რომ ვერ ჩამოვიყვანეთ, მაინც ძალიან დამწდა გული. სამწუხაროა, ის ხომ ძალიან ბევრ ძალას შეგვმატებდა“.

სეზართან დაკავშირებული მოლაპარაკება კი იმიტომ ჩაიშალა, რომ „ინტერმა“ ოლიმპიური ჩემპიონი, არგენტინელი კილი გონსალესი არ გაუშვა.

„ჩვენ კილის გვთხოვდნენ, ასეთი დონის ფეხბურთელის გაშვება კი სირცხვილი და შეცდომა იქნებოდა“.

როგორც ზემოთ მოგახსენეთ, „ინტერისთვის“ დიდი დანაკარგი გახლდათ კანავაროც, რომელიც სადმე შორს კი არა, სკუდეტოსთვის ბრძოლაში უშუალო კონკურენტ „იუვენტუსში“ წავიდა.

„ეჭვი არ მეპარება, რომ ამით „იუვე“ გავაძლიერეთ, ჩვენ აშკარად შეგვეძლო კანავაროს გამოყენება. წინ ხომ სერია A-ს გარდა ორი თასის შეჯიბრებაა, მაგრამ მოხდა სამწუხარო რამ. რას იზამ, ხანდახან ასეც გამოდის“ — დასძინა მანჩინიმ.

„ნამდვილად ვერ ვიფიქრებდი, რომ წავიდოდა — თქვა ჯუზეპე ფავალიმაც — ძალიან ვწუხვარ. აბსოლუტურად ვიყავი დარწმუნებული, რომ კანავარო „ინტერში“ ითამაშებდა. და მაინც, „სკუდეტოს“ ფავორიტებად ჩვენ ვრჩებით“.

ფრანჩესკო კოკო კი ამჯერად ჩემპიონთა ლიგის განაცხადში ვერ მოხვდა.

„ის ცუდ ფორმაშია — განაცხადა მანჩინიმ — ვფიქრობ, ლიგაში მონაწილეობის გარეშე უფრო მალე აღიდგენს საუკეთესო თვისებებს“.

პაპუნა კედია

ჭილარდინოსთვის ფანჭარა იანვარშიც არ გაიღება



იტალიური ფეხბურთის ერთ-ერთი მთავარი იმედის, ალბერტო ჯილარდინოს „პარმაში“ დარჩენა სატრანსფერო ფანჯრის დახურვამდე არავის სჯეროდა. შეგახსენებთ, რომ ახალგაზრდა ფორვარდის შეძენა ბევრ კლუბს სურდა, მათ შორის სამ გრანდს — „იუვენტუსს“, „რომასა“ და „რეალს“. ჯილარდინომ კი ყველა გააოცა და „პარმასთან“ კონტრაქტი 2007 წლამდე გაახანგრძლივა.

მიუხედავად ამისა, იტალიურ პრესაში უკვე გავრცელდა ინფორმაცია, ჯილარდინოს იანვარში მაინც გაყიდიანო. ეს ამბავი უყურადღებოდ არ დატოვა კლუბის გენერალურმა დირექტორმა ლუკა ბარალდიმ და განაცხადა: „მინდა, „პარმას“ ყველა ქომაგი დავამშვიდო. ალბერტოს გაყიდვას არც იანვარში ვაპირებთ. ამ სეზონს იგი ჩვენთან გაატარებს და ჭორებს ყურადღებას ნუ მიაქცევთ“.

თავად ჯილარდინომ კი თქვა: „მე აქ ბედნიერი ვარ და კონტრაქტიც სწორედ ამიტომ გავახანგრძლივე. „პარმამ“ ბევრი რამ მომცა და პროფესიონალ ფეხბურთელად მაქცია. შესაბამისად, ეს გუნდი მიყვარს და მისგან დავალებულიც ვარ“.

შეგახსენებთ, რომ იტალიის ჩემპიონატის გასულ სეზონში ჯილარდინომ 23 გოლი გაიტანა და მხოლოდ ერთი ბურთით ჩამორჩა სერია A-ს ბომბარდირ ანდრეი შევჩენკოს. შემდეგ მისი ძალისხმევით იტალიის ახალგაზრდულმა ნაკრებმა ევროპელ თანატოლებს შორის კონტინენტის საუკეთესო გუნდის სახელი მოიპოვა. ათენის ოლიმპიადაზე კი ჯილარდინო „სკუადრა აძურას“ ერთადერთი ნათელი წერტილი იყო და სწორედ მისი დამსახურებით ირგუნეს იტალიელებმა ბრინჯაოს მედლები.

ბოლოს კი ისევ ლუკა ბარალდის მოვუსმინოთ, რომელმაც ორი სიტყვა მომავალ სეზონში „პარმას“ მიზნებზეც თქვა: „ჩვენი პროგრამა-მინიმუმი ჩემპიონატის მეხუთე ადგილზე დასრულებაა. ძალიან გვინდა, გულშემატკივარი ევროტურნირზე წარმატებული თამაშითაც გავახაროთ, დანარჩენს კი მომავალი გვაჩვენებს“.

გიორგი კაკაბაძე

ორი უარი და ერთი საშველი: ვენეიბლზი

„ნიუკასლი“ კვლავაც უმწვრთნელოდაა და მორიგ უარს ისმენს: ისევე როგორც ბოლტონელი სემ ალარდაისი, ვერც ბირმინგემელი სტივ ბრიუსი შეიქმნება „ნიუკასლის“ მენეჯერი. „ბირმინგემ სიტიმ“ ოფიციალური განცხადებაც კი გამოაქვეყნა იმის თაობაზე, რომ ბრიუსმა სწორად ორი კვირის წინ მოაწერა ახალ, ხუთწლიან კონტრაქტს ხელი.

ბრიუსისა და ალარდაისის კვალად „ნიუკასლში“ მისვლაზე უარი თქვა სტივ მაკლარენმაც, რომელიც „მიდლსბროს“ წვრთნის.

ასეთ ვითარებაში გაჭირვების ტალკვესი ინგლისში ერთია: მრავალნაცადი ტერი ვენეიბლზი, ვისაც კარიერაში ყველა გაუწვრთნია, სოფლის გუნდებით დაწყებული, „ბარსელონათი“ და ინგლისის ნაკრებით დასრულებული. ფავორიტად ახლა სწორედ ვენეიბლზი ჩანს, რომელიც ბოლოს მწვრთნელად „ლიდსში“ იყო და იქაურობა სკანდალით დატოვა.

ვარაუდობენ, რომ ვენეიბლზს მარჯვენა ხელად და ალან შირერი ეყოლება.

„უემბლის“ ახალი თაღი, 436 ფუტის სიმაღლისა უკვე მზადაა და განახლებულია კიდეც. სტადიონის მშენებლობა გრძელდება და 2006 წელს უნდა დამთავრდეს, მაგრამ რახან თაღი დასრულდა, ბევრმა ველარ მოითმინა და მშენებარე სტადიონთან პოლიტიკოსებმა და სპორტულმა ელიტამ მოიყარა თავი.

სხვათა შორის, იქ იყვნენ პრემიერი ტონი ბლერი, სვენ გორან ერიკსონი და დევიდ ბექემი. ამ უკანასკნელმა თქვა, რომ თუმცა სტადიონი მშენებარეა, მაგრამ მაინც ძალიან ლამაზია. იქვე ბექჰმა წაუცინა: „იმედი მაქვს, მშენებლობის ბოლოსთვისაც ფეხბურთელი ვიქნები და ერთხელ მაინც მომიწევს მინდორზე, ან სულაც მის კიდეზე ყოფნა“.

ფეხბურთის რუბასთან

ინგლისურმა „მანჩესტერმა“ ბრიტანული ფეხბურთის ისტორიაში ყველაზე დიდი ჰონორარი გადაუხადა საფეხბურთო აგენტს. უეინ რუნის აგენტმა სტრეტფორდმა, რომელმაც მნიშვნელოვანი როლი ითამაშა „ევერტონსა“ და „მანჩესტერს“ შორის მოლაპარაკებაში, „წითელი ეშმაკებისგან“ 1,5 მილიონი გირვანქა მიიღო.

ფრანგულმა პსჟ-მ კრიზისიდან გამოსასვლელად ორი ფეხბურთელი დაიმატა. პარიზელებმა „ლე მანიდან“ ფორვარდი ფაბრის პანკარტე, ხოლო „ლანსიდან“ ნახევარმცველი შარლ-ედუარდ კორიდონი შეიძინეს. პარალელურად პსჟ დატოვა 29 წლის შემტევმა ნახევარმცველმა ფაბრის ფიორეზმა. მან „მარსელთან“ ოთხწლიანი კონტრაქტი გააფორმა და წესით, აჰმედ ჰოსამ მიდო უნდა შეცვალოს.

იტალიურმა „ატალანტამ“ ახალი სეზონის დაწყებამდე თავის მწვრთნელთან კონტრაქტი გაახანგრძლივა. ანდრეა მანდორინი 2006 წლამდე იქნება ბერგამოელთა თავკაცი. კლუბის ხელმძღვანელობის თქმით, ისინი სრულიად ენდობიან მანდორინის, რომელიც აქამდე „ვიჩენცაში“ მუშაობდა.

რუსეთის ნაკრებისა და სანკტ პეტერბურგის „ზენიტის“ ფორვარდმა ვლადიმირ ბისტროვმა მოსკოვის „დინამოსთან“ მატჩში ტრავმა მიიღო. სამედიცინო შემოწმების შემდეგ გაირკვა, რომ რუს გარემარბს დაახლოებით ერთი თვე გაუცდება.

საფრანგეთის კარის დარაჯმა ფაბიენ ბარტეზმა სანაკრებო კარიერის დასრულება კიდევ ორი წლით გადადო. „მოსაფიქრებლად დრო მჭირდებოდა და ახლა საბოლოოდ გადავწყვიტე, რომ 2006 წლამდე ნაკრებში ვრჩები. მსოფლიოს ჩემპიონატის შემდეგ კი ალბათ წავალ“ — თქვა ვეტერანმა გოლკიპერმა.

ჰოლანდიის ნაკრების ყოფილი ფორვარდი არნოლდ ბრიუგინკი ესპანურ „მალიორკას“ გაეყარა და თავისუფალი აგენტის სტატუსით „ჰერენვენში“ ჩაირიცხა. 27 წლის ფეხბურთელი „ჰერენვენიდან“ წასულ თავდამსხმელებს — რიკარდ კნოპერსა და ჯერარდ სიბონს შეცვლის. მხარეებმა ორწლიან კონტრაქტს მოაწერეს ხელი.

პორტუგალიის ნაკრების ექიმის თქმით, 2006 წლის მუნდიალის შესარჩევ მატჩში ლატვიის წინააღმდეგ ვერ ითამაშებს მიგელ მონტეირუ. „ბენფიკას“ მცველს ძველი ტრავმა გაუმიზეზდა, თუმც მკურნალი ვარაუდობს, რომ ესტონეთთან მატჩს იგი სავსებით გამოჯანმრთელებული შეხვდება.

უკრაინას 2012 წლის ევროპის ჩემპიონატის მასპინძლობა სურს და მოკავშირედ პოლონეთს ასახელებს. უკრაინელებმა თავდაპირველად ამ წინადადებით რუსეთს მიმართეს, მაგრამ ვლადიმირ პუტინმა ისინი უარით გაისტუმრა. პოლონეთი კი თანახმაა და ამას უკრაინასთან ერთად უახლოეს მომავალში ოფიციალურად გააფორმებს. შეგახსენებთ, რომ ცოტა ხნის წინ ევრო 2012-ის მასპინძლობის სურვილი შოტლანდია-ირლანდიის წყვილმა გამოთქვა.

იტალიურმა „ლაციომ“ სატრანსფერო ფანჯრის დახურვამდე ცოტა ხნით ადრე ერთბაშად 9 ფეხბურთელი დაიმატა. დედაქალაქელებმა ანტონი სერიჩი და სებასტიანო სივილია ერთი წლით ინათხოვრეს „პარმასგან“. ტყუპები, ანტონიო და ემანუელე ფილიპინები „პალერმოდან“ გადაბარგდნენ „სტადიო ოლიმპიკოზე“ ასევე ერთი სეზონით. რომაელებმა „ემპოლისგან“ გადაიბირეს 26 წლის ფორვარდი ტომაზო როკი. გარდა ამისა, „ლაციომ“ 4 სამხრეთამერიკელიც შეიძინა — ლეონარდო ტალამონტი, მიგელ ანხელ მეა, ესტებან გონსალესი და ბრაიან რობერტი.

რეკლამა
სარგბიელ—ში
Tel: 39 40 08, 93 16 08; Fax: 94 33 80

...და ან ცაზე ვარსკვლავები

ბებეტო ჯოლისპირული

ბებეტომ თამაში არაბულად დაასრულა

ჟოზე რობერტო გამა დე ოლივეირას თამაშით აღფრთოვანებული ჟურნალისტები ხშირად მას „თეთრ ოქროს“ უწოდებდნენ და „თეთრი ოქროც“ დაუზარებლად ანიჭებდა ქომაგებს დიდ სიამოვნებას. ეს მე-20 საუკუნის 80-იანი წლების ბოლოს და 90-იან წლებში ხდებოდა. ბებეტოზე გვაქვს ლაპარაკი...

პირველი ნაბიჯები ჟოზე რობერტომ მშობლიური ქალაქის, სალვადორ დე ბაიას „ვიტორიაში“ გადადგა. სწორედ ამ კლუბთან გააფორმა პირველი პროფესიული კონტრაქტიც, ხოლო თამაშის სტილით ყოველთვის განსხვავდებოდა თანატოლებისგან — კაფანდარა იყო, იფიქრებდით ვაი, თუ შუაში გადატყდესო, მაგრამ იმავდროულად ვირტუოზულ ტექნიკას ამჟღავნებდა.

სხვათა შორის, ბებეტოს სახე ყოველთვის სევდიანი ჰქონდა და ბიჭებმა არც აციეს, არც აცხელეს და მტირალა დაარქვეს.

პირველად დიდ თამაშში 19 წლისა გავიდა მოედანზე და იმავე ასაკში დამკვიდრდა ბრაზილიის ახალგაზრდულ ნაკრებში. 1983 წელს ამ ნაკრებთან ერთად ის მსოფლიოს ჩემპიონი გახდა და „ფლამენგოში“ გადავიდა. „ფლამენგოში“ გადასვლამ, თავის მხრივ, დიდ ნაკრებში მიმავალ გზაზე შეაყენა და აი, 1985 წლის 28 აპრილს 21 წლის ჟოზე რობერტომ პერუს ნაკრების წინააღმდეგ ითამაშა.

მაგრამ, რამდენადაც იოლად მოვიდა პირველი სანაკრებო თამაში, იმდენად ძნელად გავიდა პირველი სანაკრებო გოლი, რომლის ცდაც თავდამსხმელს ორი წლის განმავლობაში მოუხდა. სამაგიეროდ, 1987 წლის აპრილმა რამდენიმე ამბავი ერთბაშად დააყარა თავზე: თხუთმეტში კოლუმბიურ „სტრონგესტ“ (ცხადია, პროვინციულ შეხვედრაში) გოლი შეუგდო, თვრამეტში პარაგვაის ოლიმპიურ ნაკრებს უკვე ოფიციალური გოლი გაუტანა და ოცში კოლუმბიელებს პენალტით ვერაფერი დააკლო, რის შემდეგაც თერთმეტმეტრიანები გულიდან მოიგლიჯა.

1989 წელს იყო ოლიმპიადა. ბრაზილიის ნაკრებს სეულში ძალიან ძლიერი ფორვარდები, ბებეტო, კარეკა და რომარიო ჰყავდა წაყვანილი. ბრაზილია მაშინ ფინალში გავიდა, ბებეტომ ბოლო 15 წუთი ითამაშა, მაგრამ ოლიმპიური ჩემპიონი აწ აღარარსებული ქვეყნის, საბჭოთა კავშირის ნაკრები გახდა, რომლის შემადგენლობაშიც გელა კეტაშვილი თამაშობდა.

1989 წელს ბებეტო კოპა ამერიკას ჩემპიონი ხდება, თუმცა თავიდან ბრაზილიელებს ცოტა გაუჭირდათ. თავიდან ვენესუელას 3:1 მოუგეს და ჩვენი წერილის გმირმა სამიდან ერთი გოლიც გაიტანა, მაგრამ მერე პერუსა და კოლუმბიასთან 0:0 ითამაშეს. ასე და ამგვარად, გადამწყვეტი გამოდგა შეხვედრა პარაგვაისთან, სადაც ჟოზე რობერტომ ორი გოლი გაიტანა — 2:0. ამის შემდეგ რომარიოსა და ბებეტოს წყვილი ვეღარავინ შეაჩერა: არგენტინას თითო გაუტანეს, ხოლო პარაგვაისთან კიდევ ერთი გაჯიბრება ჟოზეს ჰეთ თრიქით დასრულდა. ბოლო შეხვედრაში ურუგვაის რომარიომ გაუტანა, მაგრამ სამხრეთ ამერიკის საუკეთესო ფეხბურთელად ბებეტო დაასახელეს.

შემდეგ იყო 1990 წელი, მსოფლიოს ჩემპიონატი იტალიაში და მარადიული ბრაზილიური ამბიცია, რომ გუნდი მსოფლიოს ჩემპიონი უნდა გახდეს, მაგრამ იყო კიდევ ერთი რამ — თავდამსხმელებს, ბებეტოს, კარეკას და მიულერს, რომელთაც ერთმანეთი გულზე მაინცდამაინც არასდროს ეხატებოდათ, ახლა უბრალოდ ზიზღი ჩამოუყალიბდათ. მწვრთნელს კი მიულერი და კარეკა მოსწონდა. ერთი სიტყვით, ბებეტომ მთელ ჩემპიონატზე მხოლოდ 6 წუთი ითამაშა. ეს კოსტა რიკასთან მატჩში მოხდა.

მოკლედ, იმ წელიწადს ბრაზილიელებმა ვერ ივარგეს. სამაგიეროდ, იქაური მწვრთნელები მიხვდნენ, რომ თავდამსხმელთა წყვილები ფსიქოლოგიური ფაქტორების გათვალისწინებით უნდა ათამაშონ და არა ოსტატობის მიხედვით.

1992 წელს, ბრაზილიის ორგზის ჩემპიონი ესპანეთში, კერძოდ, „დეპორტივო ლა კორუნიაში“ გადადის და 1995 წელს ესპანეთის სუპერთასს იგებს. 1992-93 წლებში, ერთ სეზონში გატანილი 29 გოლით ბებეტო კლუბის რეკორდსმენი ხდება. 1994 წლის გაზაფხულზე კი, ჩემპონატის ბოლო ტურში, ჯუკიჩს პენალტი ვერ გააქვს და ჩვენი წერილის გმირი მხოლოდ ამიტომ ვერ ხდება ესპანეთის ჩემპიონი.

1994... როგორი წელიწადი იყო ეს ბრაზილიის ნაკრებისთვის, ვფიქრობთ, ლაპარაკიც ზედმეტია. აშშში გუნდი მსოფლიოს ჩემპიონი გახდა, ხოლო ბებეტო ფეხბურთის ისტორიაში მოხვდა, როგორც გოლის აღნიშვნის ახლებური ზეიმის მომგონი — „ბავშვის ნანაობა“, ასე თუ ავხსნით ჟესტს, რომელიც მაშინ ბებეტომ შეასრულა. ამ ჟესტს „ბებიგოლი“ უწოდეს — იმ დღეს ბებეტოს ვაჟი შეეძინა.

1996 წლიდან კი საქმე დაღმა წავიდა. ატყდა შეუთანხმებლობა კლუბებთან, ადგილების ცვლა... 1998 წელს ბებეტომ ნაკრებშიც უკანასკნელი, 73-ე მატჩი ითამაშა. ეს იყო „სტად დე ფრანსზე“, მსოფლიოს ჩემპიონატის ფინალი, რომელიც ბრაზილიამ 0:3 წააგო.

2002 წელს ვეტერანი საუდის არაბეთი წავიდა, „ალ იტიჰადში“ უნდოდა თამაში, მაგრამ არაბებმა უყურეს და გამოუშვეს — საბრალო კაცი თურმე ვეღარ ხვდება, რომ ფეხბურთს თავი უნდა დაანებოსო...

პაპუნა ძედია

შემხედე, ფრაკ!

ჰენრიკ ლარსონი სკამს გაურბის

„ბარსელონას“ შვედმა მოიერიშემ, ჰენრიკ ლარსონმა კატალონიურ მედიასთან საუბარში აღიარა, რომ გუნდის მწვრთნელი ფრანკ რაიკარდი საპრიმერო მატჩებში ძირითად შემადგენლობაში ადგილს ვერ დაჰპირდა. ცხადია, ჰენრიკს სათადარიგოთა სკამზე დიდხანს დარჩენის პერსპექტივა არ ხიბლავს და „ბარსელონაში“ თავისი ადგილის მოსაპოვებლად ბრძოლას აპირებს.

„რაიკარდმა მითხრა, რომ ყოველთვის ძირითადში არ ვიქნები, მაგრამ მე საწინააღმდეგო მოსაზრება მაქვს. როდესაც „ბარსაში“ გადმოვედი, მაშინ ვიცოდი, რომ სასტარტოში ყოფნის გარანტიას თავდასხმაში ძლიერი კონკურენციის გამო ვერავინ მომცემდა, ამიტომაც თავიდანვე საბრძოლოდ განვეწყვე. მსგავს სიტუაციაში ფეხბურთელს ორი არჩევანი აქვს — ან დანებდეს და მეორე შემადგენლობას მიაკითხოს, ან კიდევ კარგი თამაშით მწვრთნელის ნდობა დაიმსახუროს. მე ეს უკანასკნელი ვარიანტი უფრო მომწონს“ — უთხრა ლარსონმა „ელ მუნდო დეპორტივოს“ კორესპონდენტს.

საქმე ის გახლავთ, რომ „კამპ ნოუზე“ კამერუნელი სამუელ ეტოოს მისვლის მერე „ბარსას“ ძირითადში აფრიკელმა შვედი შეავიწროვა. თუმცა, მიუხედავად ამისა, ლარსონი მაინც იმედიანადაა. „ესპანეთის ჩემპიონატის პირველ ტურში სანტანდერის „რასინგთან“ ურიგოდ არ მითამაშია. რა თქმა უნდა, უკეთესი იქნებოდა გოლიც შემეგდო — მაშინ რაიკარდი მოედანზე მთელ 90 წუთს დამიტიმობდა, მომავალში ვეცდები, მოედანი უგოლოდ არ დავტოვო“ — ფარ-ხმალს არ ყრის 34 წლის გამოცდილი თავდამსხმელი.

ლადო ხომერიკი

სარგებელი ᲓᲐ კრიკეტი

წარმოგიდგენთ

სხვა სახის ფსონებს გაეცნობით ადგილზე

ინგლისი. I ლიგა. VII ტური

4 სექტემბერი

			1	X	2	1-X	1-2	X-2
18.00	129	ბრედფორდი-პორტ ვეილი	2,05	3,2	3,2	1,24	1,24	1,6
18.00	130	ბრენტფორდი-ბორნმუთი	1,95	3,2	3,4	1,21	1,23	1,64
18.00	131	ჩესტერფილდი-დონსი	1,65	3,4	4,6	1,11	1,21	1,95
18.00	132	კოლჩესტერი-სუინდონი	2,15	3,2	3,0	1,28	1,25	1,54
18.00	133	დონკასტერი-უოლსოლი	2,25	3,2	2,8	1,32	1,24	1,49
18.00	134	ჰარტლპული-ბარნლსი	2,0	3,2	3,3	1,23	1,24	1,62
18.00	135	პიტერბრო-ბრისტოლი	2,3	3,2	2,7	1,33	1,24	1,46
18.00	136	უენსდი-ლუტონი	2,3	3,2	2,7	1,33	1,24	1,46
18.00	137	სტოკპორტი-ტორკი	1,8	3,2	3,8	1,15	1,22	1,73

5 სექტემბერი

			1	X	2	1-X	1-2	X-2
15.00	138	ჰადერსფილდი-ჰალი	2,5	3,2	2,4	1,4	1,22	1,37

ინგლისი. II ლიგა. VII ტური

3 სექტემბერი

			1	X	2	1-X	1-2	X-2
22.45	155	უიკომბი-ოქსფორდი	2,0	3,2	3,3	1,23	1,24	1,62

4 სექტემბერი

			1	X	2	1-X	1-2	X-2
18.00	156	ბოსტონი-კემბრიჯი	1,8	3,3	3,6	1,16	1,19	1,72
18.00	157	როვერსი-შრიუსბერი	1,55	3,4	5,6	1,06	1,21	2,11
18.00	158	ბერი-ლინკოლნი	1,85	3,3	3,5	1,18	1,21	1,69
18.00	159	ჩესტერი-მაკლსფილდი	2,5	3,2	2,4	1,4	1,22	1,37
18.00	160	დარლინგტონი-სკანთორპი	2,45	3,2	2,45	1,38	1,22	1,38
18.00	161	გრიმსბი-როჩდეილი	1,65	3,4	4,6	1,11	1,21	1,95
18.00	162	კიდერმინსტერი-ლეიტონი	2,3	3,2	2,7	1,33	1,24	1,46
18.00	163	ნოტსი-ჩელტენემი	2,0	3,2	3,3	1,23	1,24	1,62
18.00	164	რაშდენი-საუთენდი	1,75	3,3	4,0	1,14	1,21	1,8
18.00	165	იოვილი-სუონსი	1,8	3,3	3,6	1,16	1,19	1,72

5 სექტემბერი

			1	X	2	1-X	1-2	X-2
18.00	166	მესსფილდი-ნორთჰემპტონი	2,2	3,2	2,9	1,3	1,25	1,52

ინგლისი. კონფერენსი. VI ტური

4 სექტემბერი

			1	X	2	1-X	1-2	X-2
15.05	182	კარლაილი-ბარტონი	1,4	3,8	7,0	1,02	1,16	2,46
18.00	183	აკრინგტონი-უოკინგი	1,75	3,3	4,0	1,14	1,21	1,8
18.00	184	ალდერშოტი-ნორთვიჩი	1,35	4,0	7,5	1	1,14	2,6
18.00	185	ბარნეტი-მორეკომბი	1,6	3,5	4,8	1,09	1,2	2,02
18.00	186	დაგ ენდ რედი-იორკი	1,7	3,4	4,2	1,13	1,21	1,87
18.00	187	ექსეტერი-ქროული	2,1	3,2	3,1	1,26	1,25	1,57
18.00	188	გრეივსენდი-სტივენეიჯი	2,15	3,2	3,0	1,28	1,25	1,54
18.00	189	ჰერეფორდი-ჰალიფაქსი	1,55	3,5	5,3	1,07	1,19	2,1
18.00	190	ლეი-ფორესტ გრინი	1,8	3,3	3,6	1,16	1,19	1,72
18.00	191	სკარბორო-კონვი	1,85	3,3	3,5	1,18	1,21	1,69
18.00	192	ტემუორთი-ფარნბორო	1,7	3,4	4,2	1,13	1,21	1,87

შოტლანდია. I დივიზიონი. V ტური

4 სექტემბერი

			1	X	2	1-X	1-2	X-2
18.00	195	ერდრი-ქუინი	2,15	3,5	2,7	1,33	1,19	1,52
18.00	196	კლაიდი-სტ.მირენი	1,8	3,5	3,4	1,18	1,17	1,72
18.00	197	ჰამილტონი-სტ.ჯონსტონი	2,45	3,5	2,3	1,44	1,18	1,38
18.00	198	პარტიკი-ფოლკირკი	1,9	3,5	3,2	1,23	1,19	1,67
18.00	199	რეითი-როსი	2,5	3,5	2,25	1,45	1,18	1,36

შოტლანდია. II დივიზიონი. V ტური

4 სექტემბერი

			1	X	2	1-X	1-2	X-2
18.00	202	ალოა-ეარი	2,5	3,5	2,25	1,45	1,18	1,36
18.00	203	ბერიკი-დამბარტონი	2,25	3,5	2,5	1,36	1,18	1,45
18.00	204	ფორფარი-სტირლინგი	2,2	3,5	2,6	1,35	1,19	1,49
18.00	205	მორტონი-არბროთი	1,4	4,2	6,0	1,04	1,13	2,47
18.00	206	სტრანრარი-ბრეჩინი	2,2	3,5	2,6	1,35	1,19	1,49

შოტლანდია. III დივიზიონი. V ტური

4 სექტემბერი

			1	X	2	1-X	1-2	X-2
18.00	209	ისტ სტირლინგი-ელგინი	4,4	4,0	1,5	2,09	1,11	1,09
18.00	210	გრეტნა-კუდენბითი	1,4	4,2	6,0	1,04	1,13	2,47
18.00	211	მონტროუზი-ალბიონი	1,95	3,5	3,1	1,25	1,19	1,64
18.00	212	პიტერჰედი-ისტ ფაიფი	1,55	3,8	4,8	1,1	1,17	2,12
18.00	213	სტენჰაუზმური-ქუინზ პარკი	1,9	3,5	3,2	1,23	1,19	1,67

გერმანია. რეგიონალლიგა (ჩრდილოეთი). VII ტური

3 სექტემბერი

			1	X	2	1-X	1-2	X-2
21.30	218	ზტ.პაული-უნიონი	2,15	3,3	2,9	1,3	1,23	1,54
21.30	219	ოსნაბრიუკი-არმინია(მ)	1,55	3,5	5,3	1,07	1,19	2,1

4 სექტემბერი

			1	X	2	1-X	1-2	X-2
16.00	220	კილი-ფორტუნა	1,85	3,3	3,5	1,18	1,21	1,69
16.00	221	ვოლფსბურგი(მ)-მიუნსტერი	2,05	3,3	3,1	1,26	1,23	1,59
16.00	222	კიოლნი(მ)-დორტმუნდი(მ)	2,45	3,3	2,4	1,4	1,21	1,38
16.00	223	ვუპერტალი-ლიუბეკი	2,3	3,3	2,6	1,35	1,22	1,45
16.00	224	ჰერტა(მ)-ქემნიცი	1,8	3,3	3,6	1,16	1,19	1,72
16.00	225	ურდინგენი-ვერდერი(მ)	2,0	3,4	3,1	1,25	1,21	1,62

5 სექტემბერი

			1	X	2	1-X	1-2	X-2
16.00	226	ჰამბურგი(მ)-პადერბორნი	2,4	3,2	2,5	1,37	1,22	1,4

გერმანია
რეგიონალლიგა (სამხრეთი). V ტური

3 სექტემბერი

			1	X	2	1-X	1-2	X-2
21.00	229	აალენი-შტუტგარტი(მ)	2,0	3,3	3,2	1,24	1,23	1,62
21.30	230	ოფენბახი-ელვერსბერგი	1,65	3,5	4,4	1,12	1,2	1,94

4 სექტემბერი

			1	X	2	1-X	1-2	X-2
16.30	231	მაინცი(მ)-ფულენდორფი	1,8	3,3	3,6	1,16	1,19	1,72
16.30	232	აუგსბურგი-დარმშტადი	1,75	3,3	4,0	1,14	1,21	1,8
16.30	233	კიკერსი-ნოტინგენი	1,75	3,3	4,0	1,14	1,21	1,8
16.30	234	ფოიხტი-რეგენსბურგი	2,9	3,3	2,15	1,54	1,23	1,3
16.30	235	მიუნხენი(მ)-ჰოფენჰაიმი	2,5	3,2	2,4	1,4	1,22	1,37
16.30	236	კობლენცი-ბაიერნი(მ)	3,3	3,4	1,9	1,67	1,2	1,21
16.30	237	ვეენი-ზიგენი	1,7	3,4	4,2	1,13	1,21	1,87

საფრანგეთი. II დივიზიონი. VI ტური

3 სექტემბერი

			1	X	2	1-X	1-2	X-2
22.00	254	კლერმონი-სედანი	2,2	2,8	3,4	1,23	1,33	1,53
22.00	255	კრეტეი-ბრესტი	2,1	2,8	3,6	1,19	1,32	1,57
22.00	256	გენიონი-ლავალი	1,8	2,9	4,6	1,11	1,29	1,77
22.00	257	გენგამი-დიჟონი	1,8	2,9	4,6	1,11	1,29	1,77
22.00	258	ლე მანი-ლე ავრი	2,2	2,8	3,4	1,23	1,33	1,53
22.00	259	ლორიანი-ანჟე	1,65	3,2	5,3	1,08	1,25	1,99
22.00	260	ნიორი-მონპელიე	2,15	2,8	3,5	1,21	1,33	1,55
22.00	261	რეიმსი-გრენობლი	1,8	2,8	4,8	1,09	1,3	1,76

5 სექტემბერი

			1	X	2	1-X	1-2	X-2
20.00	262	ამიენი-შატორუ	1,8	2,9	4,6	1,11	1,29	1,77

6 სექტემბერი

			1	X	2	1-X	1-2	X-2
22.15	263	ნანსი-ტრუა	1,75	3,0	4,8	1,1	1,28	1,84

ჰოლანდია. II დივიზიონი. IV ტური

3 სექტემბერი

			1	X	2	1-X	1-2	X-2
22.00	268	სპარტა-ემენი	1,55	3,8	4,8	1,1	1,17	2,12
22.00	270	ზვოლე-ოსი	1,5	3,8	5,3	1,07	1,16	2,21
22.00	271	აპელდორნი-ჰელმონდი	2,5	3,4	2,3	1,44	1,19	1,37
22.00	273	დორდრეხტი-ჰერაკლესი	2,5	3,4	2,3	1,44	1,19	1,37
22.00	274	ეინდჰოვენი-ვოლენდამი	3,5	3,6	1,75	1,77	1,16	1,17
22.00	275	სიტარდი-იგლსი	2,4	3,4	2,4	1,4	1,2	1,4
22.00	276	მაასტრიხტი-კამბური	2,35	3,4	2,45	1,38	1,19	1,42

ბელგია. II დივიზიონი. IV ტური

3 სექტემბერი

			1	X	2	1-X	1-2	X-2
22.30	279	ვირტონი-სტ.ჟილი	1,7	3,3	4,4	1,12	1,22	1,88

5 სექტემბერი

			1	X	2	1-X	1-2	X-2
17.00	280	დაინცე-რუზელარე	2,15	3,2	3,0	1,28	1,25	1,54
17.00	281	დესელი-ვარეგემი	2,9	3,2	2,2	1,52	1,25	1,3
17.00	282	აალსტი-ვაასლანდი	2,45	3,2	2,45	1,38	1,22	1,38
17.00	283	ვიგორი-ეუპენი	2,15	3,2	3,0	1,28	1,25	1,54
17.00	284	ჰეუსდენი-ვიხეტი	1,45	3,6	6,5	1,03	1,18	2,31
17.00	285	კორტრაიკი-გეელი	2,1	3,2	3,1	1,26	1,25	1,57
17.00	286	რონსე-ანტვერპენი	3,3	3,2	2,0	1,62	1,24	1,23
17.00	287	ტუბეკე-პატრო	1,75	3,2	4,2	1,13	1,23	1,81

შესაძლო ცვლილებები ადგილზე დაგაზუსტეთ

			1	X	2	1-X	1-2	X-2
		შვედეთი. სუპერლიგა. XXIII ტური						
		4 სექტემბერი						
18.10	320	ატვიდაბერგი-გეფლე	2,15	3,2	3,0	1,28	1,25	1,54
		ნორვეგია. I დივიზიონი. XXI ტური						
		5 სექტემბერი						
18.00	332	ბრინი-მოსი	1,8	3,6	3,3	1,19	1,16	1,72
18.00	333	მანდალი-სკეიდი	1,65	4,0	3,8	1,16	1,15	1,94
18.00	334	პორს გრენლანდი-სტრიომსგოდსეტი	2,3	3,8	2,35	1,43	1,16	1,45
18.00	335	რაუფოსი-კონესვინგერი	2,1	3,8	2,6	1,35	1,16	1,54
18.00	336	ტრომსდალენი-ალესუნდი	4,8	5,0	1,35	2,44	1,05	1,06
18.00	337	ვარჯი პაუგესუნდი-ჰიონეფოსი	2,25	3,8	2,4	1,41	1,16	1,47
		ირლანდია. პრემიერლიგა. XXV ტური						
		3 სექტემბერი						
22.00	354	სტ.პატრიკსი-შემროკი	2,2	3,2	2,9	1,3	1,25	1,52
		4 სექტემბერი						
23.00	357	ლონგფორდი-დერი	2,15	3,2	3,0	1,28	1,25	1,54
		6 სექტემბერი						
22.45	358	შელბურნი-დუბლინი	1,25	4,2	8,0	1	1,08	2,75
		ჩეხეთი. გამბრინუს ლიგა. I ტური						
		3 სექტემბერი						
22.00	363	ლიბერეცი-ბლშანი	1,5	3,6	5,6	1,05	1,18	2,19
		მჩ. შესარჩევი მატჩები						
		4 სექტემბერი						
18.00	004	ირლანდია-კვიპროსი	1,15	6,0	14,0	1	1,06	4,19
18.00	005	ფინეთი-ანდორა	1,04	8,0	20,0	1	1	10
18.00	006	ჩრდ.ირლანდია-პოლონეთი	3,5	3,1	2,05	1,64	1,29	1,23
19.00	007	რუსეთი-სლოვაკეთი	1,45	3,8	7,0	1,04	1,2	2,46
19.00	008	ესტონეთი-ლუქსემბურგი	1,1	7,0	14,0	1	1,01	4,66
19.30	009	შვეიცარია-ფარერები	1,05	8,0	17,5	1	1	5,49
20.00	010	ისლანდია-ბულგარეთი	2,6	3,2	2,45	1,43	1,26	1,38
20.00	011	აზერბაიჯანი-უელსი	6,5	3,6	1,5	2,31	1,21	1,05
21.00	012	თურქეთი-საქართველო	1,2	5,0	10,0	1	1,07	3,33
21.15	013	ლატვია-პორტუგალია	4,0	3,3	1,8	1,8	1,24	1,16
21.30	014	რუმინეთი-მაკედონია	1,2	5,0	10,0	1	1,07	3,33
22.00	015	დანია-უკრაინა	1,65	3,4	5,0	1,11	1,24	2,02
22.15	016	სლოვენია-მოლდოვა	1,3	4,4	9,0	1	1,13	2,95
22.15	017	ბელგია-ლიტვა	1,25	5,0	10,0	1	1,11	3,33
22.30	018	ხორვატია-უნგრეთი	1,6	3,4	5,6	1,08	1,24	2,11
22.30	019	ავსტრია-ინგლისი	5,0	3,4	1,65	2,02	1,24	1,11
22.30	020	სან მარინო-სერბია	20,0	8,0	1,04	5,71	1	1
22.45	021	იტალია-ნორვეგია	1,55	3,5	6,0	1,07	1,23	2,21
22.45	022	ალბანეთი-საბერძნეთი	4,6	3,4	1,7	1,95	1,24	1,13
22.45	023	საფრანგეთი-ისრაელი	1,2	5,0	12,0	1	1,09	3,52
22.45	024	მალტა-შვედეთი	15,0	7,0	1,1	4,77	1,02	[illegible]
04.00	025	პერუ-არგენტინა	4,4	3,3	1,75	1,88	1,25	1,14
		5 სექტემბერი						
22.15	026	ურუგვაი-ეკვადორი	1,55	3,5	6,0	1,07	1,23	2,21
00.10	027	ბრაზილია-ბოლივია	1,1	6,0	15,0	1	1,02	4,28
02.20	028	პარაგვაი-ვენესუელა	1,4	4,0	7,5	1,03	1,17	2,6
05.00	029	ჩილე-კოლუმბია	2,0	3,2	3,5	1,23	1,27	1,67
		ამხანაგური მატჩები						
		3 სექტემბერი						
22.00	030	ჰოლანდია-ლიხტენშტაინი	1,01	8,0	40,0	1	1	6,66
24.00	031	ესპანეთი-შოტლანდია	1,2	5,0	9,0	1	1,05	3,21

CROCO BOOKMAKERS
ISARGEBLETH KROKOS AXALI MOMSAXUREBITH
CROCO BOOKMAKERS
TELKREDITI
TELCREDITI
10 42 00 24 +%

I ტაიმის შედეგი

		1	X	2	1-X	1-2	X-2
5006	ჩრდ.ირლანდია-პოლონეთი	4,2	2,05	2,4	1,37	1,52	1,1
5007	რუსეთი-სლოვაკეთი	1,7	2,5	6,0	1,01	1,32	1,76
5010	ისლანდია-ბულგარეთი	3,3	2,05	2,9	1,26	1,54	1,2
5013	ლატვია-პორტუგალია	4,6	2,05	2,3	1,41	1,53	1,08
5015	დანია-უკრაინა	1,95	2,2	5,6	1,03	1,44	1,57
5018	ხორვატია-უნგრეთი	1,9	2,2	6,0	1,01	1,44	1,6
5019	ავსტრია-ინგლისი	5,3	2,15	2,05	1,52	1,47	1,04
5021	იტალია-ნორვეგია	1,9	2,15	6,0	1	1,44	1,58
5025	პერუ-არგენტინა	5,0	2,05	2,2	1,45	1,52	1,06
5026	ურუგვაი-ეკვადორი	1,9	2,15	6,0	1	1,44	1,58
5028	პარაგვაი-ვენესუელა	1,7	2,5	6,0	1,01	1,32	1,76
5029	ჩილე-კოლუმბია	2,4	2,05	4,2	1,1	1,52	1,37

რომელი გუნდი გახსნის მატჩში ანგარიშს

(მატჩის 0-0 დამთავრების შემთხვევაში, ორივე შცონი ზაგულად ჩაითვლება)

5406	ჩრდ.ირლანდია-პოლონეთი	2.0	1.8
5407	რუსეთი-სლოვაკეთი	1,35	3,2
5410	ისლანდია-ბულგარეთი	1.9	1,9
5413	ლატვია-პორტუგალია	2,2	1,7
5415	დანია-უკრაინა	1,4	3,0
5418	ხორვატია-უნგრეთი	1.4	3,0
5419	ავსტრია-ინგლისი	2,6	1,5
5421	იტალია-ნორვეგია	1,4	3,0
5425	პერუ-არგენტინა	2,3	1,65
5426	ურუგვაი-ეკვადორი	1,4	3,0
5428	პარაგვაი-ვენესუელა	1.3	3,4
5429	ჩილე-კოლუმბია	1,75	2,1

1-ლი ტაიმი/ძირითადი დრო.		1/1	1/X	1/2	X/1	X/X	X/2	2/1	2/X	2/2
5106	ჩრდ.ირლანდია-პოლონეთი	5,3	10,0	20,0	6,0	4,4	4,0	20,0	10,0	3.0
5107	რუსეთი-სლოვაკეთი	1,9	12,0	25,0	3,5	4,6	12,0	20,0	11,0	11.0
5110	ისლანდია-ბულგარეთი	3,8	10,0	20,0	4,6	4,4	4,4	20,0	10,0	3.6
5113	ლატვია-პორტუგალია	6,5	10,0	20,0	7,0	4,4	3,6	20,0	10,0	2.6
5115	დანია-უკრაინა	2,3	10,0	20,0	3,5	4,4	9,0	20,0	10,0	8.0
5118	ხორვატია-უნგრეთი	2,2	10,0	20,0	3,5	4,6	10,0	20,0	10,0	9,0
5119	ავსტრია-ინგლისი	8.0	10,0	20,0	9,0	4,6	3,5	20,0	10,0	2,3
5121	იტალია-ნორვეგია	2,1	10,0	20,0	3,5	4,6	10,0	20,0	10,0	10.0
5125	პერუ-არგენტინა	7,0	10,0	20,0	7,5	4,4	3,5	20,0	10,0	2.5
5126	ურუგვაი-ეკვადორი	2,1	10,0	20,0	3,5	4,6	10,0	20,0	10,0	10.0
5128	პარაგვაი-ვენესუელა	1,8	12,0	25,0	3,5	4,8	12,0	20,0	12,0	12,0
5129	ჩილე-კოლუმბია	3,0	10,0	20,0	4,0	4,4	6,0	20,0	10,0	5,0

რომელ ტაიმში გავა მეტი გოლი

		I-ში	თანაბრად	II-ში
5506	ჩრდ.ირლანდია-პოლონეთი	3,0	2,8	2,0
5507	რუსეთი-სლოვაკეთი	3,0	2,8	2,0
5510	ისლანდია-ბულგარეთი	3,0	2,8	2,0
5513	ლატვია-პორტუგალია	3,0	2,8	2,0
5515	დანია-უკრაინა	3,0	2,8	2,0
5518	ხორვატია-უნგრეთი	3,0	2,8	2,0
5519	ავსტრია-ინგლისი	3,0	2,8	2,0
5521	იტალია-ნორვეგია	3,0	2,8	2,0
5525	პერუ-არგენტინა	3,0	2,8	2,0
5526	ურუგვაი-ეკვადორი	3,0	2,8	2,0
5528	პარაგვაი-ვენესუელა	3,0	2,8	2,0
5529	ჩილე-კოლუმბია	3,0	2,8	2,0

გაიტანს თუ არა ორივე გუნდი მატჩში გოლს (ძირითადი დრო)

		კი	არა
5306	ჩრდ.ირლანდია-პოლონეთი	1.8	1.8
5307	რუსეთი-სლოვაკეთი	1.8	1,8
5310	ისლანდია-ბულგარეთი	1,7	1,9
5313	ლატვია-პორტუგალია	1,7	1.9
5315	დანია-უკრაინა	1,75	1.85
5318	ხორვატია-უნგრეთი	1,7	1,9
5319	ავსტრია-ინგლისი	1,7	1,9
5321	იტალია-ნორვეგია	1.8	1,8
5325	პერუ-არგენტინა	1,7	1.9
5326	ურუგვაი-ეკვადორი	1,75	1.85
5328	პარაგვაი-ვენესუელა	1.8	1.8
5329	ჩილე-კოლუმბია	1,7	1,9

რამდენი გოლი გავა მატჩში (ძირითადი დრო) (2,5-ზე ნაკლები - 2,5-ზე მეტი)

5206	ჩრდ.ირლანდია-პოლონეთი	1.8	1.8
5207	რუსეთი-სლოვაკეთი	1.8	1.8
5210	ისლანდია-ბულგარეთი	1.7	1.9
5213	ლატვია-პორტუგალია	1,7	1.9
5215	დანია-უკრაინა	1.75	1.85
5218	ხორვატია-უნგრეთი	1.85	1.75
5219	ავსტრია-ინგლისი	1.85	1.75
5221	იტალია-ნორვეგია	1.75	1.85
5225	პერუ-არგენტინა	1.7	1.9
5226	ურუგვაი-ეკვადორი	1,75	1.85
5228	პარაგვაი-ვენესუელა	1.8	1.8
5229	ჩილე-კოლუმბია	1.7	1.9

ᲡᲝᲚᲐᲠᲣᲚᲘ ᲞᲝᲠᲢᲤᲔᲚᲘ

ᲔᲠᲝᲕᲜᲣᲚᲘ ᲩᲘᲛᲒᲚᲘᲡᲢᲘ

ᲜᲔᲡᲢᲝᲠ ᲮᲔᲠᲒᲘᲐᲜᲘ

ATHENS 2004

ᲙᲐᲠᲒᲘ რამაა ტკბილი მოგონებები — ხშირად ათას დარდს, გაჭირვებას, პრობლემას დაგავიწყებს, გუნებას გამოგიკეთებს და მერე ამით გახალისებული ყველა წინაღობას გაორმაგებული ენერგიით ეკვეთები. ჰოდა, ჩვენც გავიხსენოთ ის კარგი მოგონებები, ფოტოობიექტივით შეჩერებული წამები, რომლებიც ათენის ოლიმპიურ თამაშებზე ჩვენების წარმატებებს უკავშირდება.

ამბობენ, კარგი სტარტი საქმის ნახევარიაო. და თუ ეს ასეა, ჩვენს ნესტორ ხერგიანს გაუკეთებია იმ საქმის ნახევარი, რამაც თორმეტწლიანი ბრინჯაოს ხანიდან გამოგვიყვანა, რითაც დაგვარწმუნა, რომ ეს შესაძლებელია და უკეთესი მომავლის იმედიც ჩაგვისახა.

ნესტორმა ძიუდოისტთა ტურნირში ჯერ გაესპანელებული იაპონელი კენჯი უემაცუ, მერე კი ყაზახი ბახარბეკ დონბაი, რუსი ევგენი სტანეკი და ირანელი ჰაჯი ახონზადე მასედი ერთმანეთის მიყოლებით ისე დაამარცხა, რომ ერთი კოკაც არავის დაანება. ბოლოს ფინალში ორგზის ოლიმპიურ ჩემპიონთან ტადაჰირო ნომურასთან მთელი ხუთი წუთი ისე იბრძოლა, რომ მეტოქეს არაფერი დაუთმო, თუმცა, ბოლოს მაინც დამარცხდა.

მაგრამ ეს გამარჯვება იყო, რადგან ორი ოლიმპიადის მერე საქართველოს სპორტსმენებმა პირველად მოიპოვეს ვერცხლის მედალი, რამაც შემდგომ მონაგარს დაუდო სათავე.

ᲐᲕᲗᲐᲜᲓᲘᲚ ᲒᲣᲠᲐᲡᲐᲨᲕᲘᲚᲘ

ავტორის ფოტოები

უმაღლესი ლიგის კალენდარი

I ტური
4-5 სექტემბერი
ლოკომოტივი — აია
ყოჩები — ლელო
დათვები — აკადემია

II ტური
11-12 სექტემბერი
ლელო — ლოკომოტივი
აია — დათვები
აკადემია — ყოჩები

III ტური
18-19 სექტემბერი
ლოკომოტივი — აკადემია
დათვები — ყოჩები
ლელო — აია

IV ტური
25-26 სექტემბერი
დათვები — ლოკომოტივი
აკადემია — ლელო
აია — ყოჩები

V ტური
2-3 ოქტომბერი
ყოჩები — ლოკომოტივი
ლელო — დათვები
აია — აკადემია

VI ტური
9-10 ოქტომბერი
აია — ლოკომოტივი
ლელო — ყოჩები
აკადემია — დათვები

VII ტური
16-17 ოქტომბერი
ლოკომოტივი — ლელო
დათვები — აია
ყოჩები — აკადემია

VIII ტური
23-24 ოქტომბერი
აკადემია — ლოკომოტივი
ყოჩები — დათვები
აია — ლელო

IX ტური
30-31 ოქტომბერი
ლოკომოტივი — დათვები
ლელო — აკადემია
ყოჩები — აია

X ტური
6-7 ნოემბერი
ლოკომოტივი — ყოჩები
დათვები — ლელო
აკადემია — აია

რამდენს გაუძლებს მეურნეობა?

ხეთილი იყოს ვარხეთილში დაბრუნება

ქართულ რაგბის უქმე აგვისტო ჰქონდა, თუმც „საღათას ძილი“ დამთავრდა, ხვალ საქართველოს ჩემპიონატის უმაღლესი ლიგა იწყებს. 6 გუნდი ორ წრედ, ანუ 10 ტურში შეერკინება ერთმანეთს, რის შემდეგაც პლეი ოფის ჯერი დადგება

პლეი ოფის სისტემა შარშანდელის მსგავსია: 27-28 ნოემბერს ჯგუფში პირველ-მეორე ადგილზე გასულები შეხვდებიან ერთმანეთს და გამარჯვებული ავტომატურად ფინალში გავა. დამარცხებული მესამე-მეოთხე ადგილოსნებს შორის მოგებულს შეერკინება ფინალში გასასვლელად. სხვათა შორის, ფინანსური პრობლემების გამო, ქუთაისის „აიას“ უმაღლეს ლიგაში მონაწილეობა გუშინდლამდე საეჭვო იყო, მაგრამ იმერული კლუბის საკითხი დადებითად გადაწყდა.

და კიდევ, საქართველოს რაგბის კავშირის ცნობით, უმაღლესი ლიგის ყველა მატჩი ვარკეთილის მეურნეობის სტადიონზე გაიმართება, რომლის გაზონი ლაზათიანად გააკოხტავეს და პირველ ტურებში ნაღდად არ გაფუჭდება, მაგრამ, ვეჭვობთ, თანდათან, მით უმეტეს ზამთარში იქ თამაში გაჭირდება. თანაც, როგორი მისადგომია გულშემატკივრისთვის ვარკეთილის მეურნეობა.

მერაბ კვირიკაშვილიც „გაფრანგდა“

გადრი კეთილაძის ფოტო

როგორც მოსალოდნელი იყო, კლუბებში საკმაო გადანაცვლებები მოხდა და მათ შესახებ მწვრთნელები გვაცნობენ.

დავით ჩავლეიშვილი, ლოკომოტივი: „ზვიად მაისურაძე ინგლისის ქვედა დივიზიონის კლუბ „ვოლფორში“ წავიდა, გასვიანი, დათუნაშვილი, სამხარაძე, ბერძენიშვილი და მოგელაძე ფრანგულ კლუბებში გადავიდნენ. „უნივერსიტეტიდან“ შემოგვემატნენ აკაკი სანაძე და ნაკრების წევრი ირაკლი გუნდიშვილი. ერთი შეხედვით, შემადგენლობა დაგვისუსტდა, შეკრებასაც თბილისს გარეთ არ გავსულვართ, თუმც მაინც კარგი გუნდი გვეყოლება. მოგეხსენებათ, 10 ოქტომბერს კიევსა და ოდესაში შავი ზღვის რეგიონთა თასის გათამაშებაში ჩავერთვებით, სადაც რუმინეთის, უკრაინისა და რუსეთის თითო კლუბი ითამაშებს.

ლევან მაისაშვილი, ლელო: „პირველხაზელი ილია კახოიძე და 9 ნომერი მერაბ კვირიკაშვილი საფრანგეთში, ნაციონალ-1-ის პარიზის უნივერსიტეტის კლუბში გადავიდნენ. ეს საკმაო დანაკლისია. მათ გარდა თენგიზ გელანტიაც წავიდა „აკადემიაში“. ჯერჯერობით მხოლოდ უნივერსიტეტელი ბექა კობახიძე დაგვემატა. ბორჯომში ვიყავით შეკრებაზე, კარგად მოვემზადეთ და ჩემპიონატში უმაღლესი მიზნებისთვის ვიბრძოლებთ.“

მალხაზ ჭეიშვილი, ყოჩები: „დავსუსტდით და ჩემპიონობაზე ფიქრი ზედმეტადაც მეჩვენება. უბრალოდ, უნდა გავიდეთ მინდორზე და „ყოჩები“ ნაღდ „ყოჩებს“ უნდა დავამსგავსოთ. თემურ სოხაძე საფრანგეთის კლუბში წავიდა, ხოლო მისი ძმა ვანო ერთი წლით დისკვალიფიცირებულია. გუნდში არავინ მოსულა, თუ არ ჩავთვლით ბაჩო ყალიჩავას, რომელსაც ექვსი თვე ტრავმის გამო გაუცდა.“

მერაბ დანელია, აჭარის რეგიონის რაგბის კავშირის გენერალური მდივანი: „სათასო მატჩების შემდეგ „დათვების“ შემადგენლობა შევინარჩუნეთ და რამდენიმე ახალგაზრდა ბიჭითაც გავაძლიერეთ, რომელთა უმრავლესობაც ჩვენი რაიონის აღზრდილია. მონდომება არ გვაკლია და დარწმუნებული ვარ შედეგებიც კარგი გვექნება. გარდა ამისა, მწვრთნელად დავაბრუნეთ ლევან მგელაძე, რომელიც 2000-2002 წლებში თავკაცობდა „დათვებს“ და გახსოვთ როგორ შესანიშნავადაც.“



„ლოკომოტივის“ მოიერიშე ზვიად მაისურაძე კარიერას ინგლისში გააგრძელებს

ანდრეი ეფანოვის ფოტო

პაატა ნარიმანაშვილი, აკადემია: „ძალიან ბევრი მორაგბე დაგვაკლდა, თუმც დასუსტებაზე ლაპარაკი ზედმეტია. რამდენიმე მოთამაშის დამატება დღე-დღეზე გადაწყდება. ეროვნული ნაკრების წევრი დავით ბოლღაშვილი უკვე შეკიძინეთ.“

რაც შეეხება პირველ ლიგას, მასში რვა გუნდი გამოსცდის ძალებს: „თელავი“, „უნივერსიტეტი“, „ყოჩები 2“, „აკადემია 2“, „არმაზი“, „დინამო“ და „ბაქო“. აზერბაიჯანული კლუბი, რომელსაც საქართველოს ეროვნული ნაკრების ყოფილი მწვრთნელი გურამ მოდებაძე თავკაცობს, უკონკურსოდ ითამაშებს. თელაველებმა კი ფინანსურად უძლური „დათვები 2-ის“ ადგილი დაიკავეს. პირველი ლიგის გამარჯვებული გაისად უმაღლესში აინაცვლებს, ხოლო მეორეადგილოსანი 9 და 15 დეკემბერს უმაღლეს ჯგუფში მე-5 ადგილზე გასულს შეხვდება პლეი ოფში.

ილია ნანოგაშვილი

US OPEN 2004 ნიუ იორკი. ჰარდი. საპრიზო 19 050 000 $

ეროვნული ბიბლიოთეკა

მარტო ჩოგბურთი რა ბედენაა?

სერენამ ჩაიხსნა და მოხსნა

კაცები

პირველი წრე

ლეიტონ ჰიუიტი (4, ავსტრალია) — **უეინ ფერეირა** (სამხრეთ აფრიკა) 6:1, 7:5, 6:4; **დავიდ ნალბანდიანი** (8, არგენტინა) — **დენის ვან სხეპინგენი** (ჰოლანდია) 6:4, 7:6 (7:5), 6:3; **სებასტიან გროზანი** (12, საფრანგეთი) — **ოლივიე პასიანსი** (საფრანგეთი) 7:5, 6:7 (6:8), 6:2, 6:1; **როგინ სოდერლინგი** (შვედეთი) — **ფერნანდო გონსალესი** (14, ჩილე) 6:4, 7:6 (7:3), 6:7 (4:7), 6:1; **რიკარდუ მელუ** (ბრაზილია) — **ხუან იგნასიო ჩელა** (17, არგენტინა) 6:2, 7:6 (7:1), 2:6, 2:6, 6:2; **კრისტიან პლესი** (დანია) — **გუსტავო კუერტენი** (20, ბრაზილია) 6:4, 3:6, 6:1, 7:6 (7:4); **ვინს სპედია** (23, აშშ) — **ლუის ორნა** (პერუ) 6:7 (3:7), 6:2, 6:4, 6:4; **ფელისიანო ლოპესი** (30, ესპანეთი) — **არნო დი პასკუალი** (საფრანგეთი) 7:6 (7:4), 6:3, 6:2; **ტომას ბერდიხი** (ჩეხეთი) — **იონას ბიორკმანი** (32, შვედეთი) 6:3, 2:6, 6:2, 1:6, 6:3; **ტომი ჰაასი** (გერმანია) — **დავიდ სანგვინეტი** (იტალია) 6:1, 5:7, 6:2, 3:6, 6:2; **მიხაილ იუჟნი** (რუსეთი) — **ალბერტ მონტანესი** (ესპანეთი) 6:1, 6:3, 6:2

მეორე წრე

როჯერ ფედერერი (1, შვეიცარია) — **მარკოს ბაღდატისი** (კვიპროსი) 6:2, 6:7 (4:7), 6:3, 6:1

ქალები

მეორე წრე

ამელი მორესმო (2, საფრანგეთი) — **იულია ვაკულენკო** (უკრაინა) 3:6, 6:2, 6:2; **სირენა უილიამსი** (3, აშშ) — **ლინდსი ლი-უატერსი** (აშშ) 6:4, 6:3; **ელენა დიმენტიევა** (6, რუსეთი) — **სეგერინ ბელტრამი** (საფრანგეთი) 6:3, 6:2; **ჯენიფერ კაპარიატი** (8, აშშ) — **მაგი სერნა** (ესპანეთი) 6:0, 6:2; **ვერა ზვონარიოვა** (10, რუსეთი) — **ელს კალენსი** (ბელგია) 6:3, 6:3; **აი სუგიამა** (12, იაპონია) — **ხისელა დულკო** (არგენტინა) 6:2, 6:4; **პატი შნიდერი** (15, შვეიცარია) — **ივეტა ბენეშოვა** (ჩეხეთი) 6:4, 6:1; **დანიელა ჰანტუხოვა** (სლოვაკეთი) — **ალიშა მოლიკი** (17, ავსტრალია) 6:4, 6:3; **ანჯელა ჰეინსი** (აშშ) — **მაგდალენა მალეევა** (22, ბულგარეთი) 6:2, 6:3; **ფაბიოლა სულუაგა** (23, კოლუმბია) — **ტატიანა გარბინი** (იტალია) 6:3, 6:7 (7:9), 6:2; **ნატალი დეში** (28, საფრანგეთი) — **კარა ბლეკი** (ზიმბაბვე) 6:2, 7:5; **ტატიანა გოლოვინი** (30, საფრანგეთი) — **აკიკო მორიგამი** (იაპონია) 6:4, 6:4; **მარია ვენტო-კაბჩი** (31, ვენესუელა) — **იულია შრუფი** (გერმანია) 6:1, 2:6, 6:2

სერენა უილიამსმა სულ აიღო თავზე ხელი

REUTERS ნიუ იორკიდან

REUTERS ნიუ იორკიდან

საქმე ისე წაეწყო, რომ კაცებმა თავიანთი საპირველწრეო ყომარი მხოლოდღა მესამე დღეს მოამთავრეს. მათგან ერთადერთი, ჩოგანი უკვე მესამე წრეს რომ უწვდინა, ამქრის პირველოსანი როჯერ ფედერერი გახლავთ. როჯერმა იმ დღეს ყველაზე გვიან, პროჟექტორების შუქზე იბურთავა და გზის გასავაკებლად 19 წლის კვიპროსელ მარკოს ბაღდატისთან მოუხდა თამაში.

ეს ბაღდატისი, ვინძლო თქვენც დაიმახსოვრეთ, სასტარტო წრეში ფრანგ მუტის ძლევით პირველი აფროდიტისკუნძულელი შეიქნა, დიდი მუზარადის რაგინდარა ტურნირის მატჩი რომ მოუგია. ცუდად ის თითქოს არც უსტაბაშის წინააღმდეგ გარჯილა, მეორე სეტში აჯობა კიდეც, მაგრამ მერე და მერე შეცდომებს უმატა და ზეგარდმო მეტოქის უმაღლეს კლასს დანებდა.

თუკი ფედერერმა წარმატებული წინსვლა განაგრძო და ნახევარფინალამდე მიატანა, იქ მას სავარაუდოდ ლეიტონ ჰიუიტი უნდა შეხვედეს. ტურნირის სამიწლისწინანდელი ჩემპიონი ახლა შესანიშნავ ფორმაშია, მაშინ, როცა ფედერერი და როდიკი ათენში იფლავებდნენ, ის ამერიკულ მაგარსაფარზე ტიტულიანად ბურთაობას განაგრძობდა, ორ ტურნირზე იმარჯვა და, საყოველთაო აღიარებით, აშშ-ის მიმდინარე პირველობის ერთ უმთავრეს ფავორიტადაც ითვლება.

თავის საპირველწრეო შეხლაში კისკასი ოზბიჭი 32 წლის სამხრეთაფრიკელ უეინ ფერეირას გაუსწორდა. რაკიღა ამის გაკეთება საკმაოდ დამაჯერებლად შეძლო, ნამატჩევს არც კმაყოფილება დაუმალავს — ახლა ისეთსავე ყუმბარფორმაში ვარ, როგორც რომ ჩემს საზეო წლებში ვიყავიო.

რაც შეეხება მის მიერ ძლეულ ფერეირას, ეს ამაგდარი ვეტერანი თავის ზედიზედ 56-ე, სულ 57-ე და, როგორც ირკვევა, უკანასკნელ სლემტურნირზე გამოდიოდა.

„ბოლო ათი თვეა, ხან მხარი მაწამებს, ხან კიდევ რა — ამბობდა ის იმ დღეს — ალბათ აჯობებს, ახლა ჩოგანი გვერდზე გადავდო, თორემ მეშინია, ორმოცდაათი წლისა საერთოდ სიარულსაც ვეღარ შეეძლებ."

შეგახსენებთ, რომ სლემტურნირებზე ყველაზე მეტჯერ — და ეს ყველაზე მეტი 58-ს უდრის — ლეგენდარულ ამერიკელ ჯიმი კონორსს უპაექრია. ფერეირა კი მაიკლ ჩანგსა და ივან ლენდლთან ერთად მეორე ადგილს ინაწილებს.

სხვაფრივ — კაცთა ამქარს იმ დღეს ორი სახელიანი კაციც მოაკლდა. როლანგაროსობის სამგზის ჩემპიონმა გუსტავო კუერტენმა 40 უნებლიე შეცდომა დაუშვა დანიელ პლესის წინააღმდეგ, რომელიც მსოფლიო რეიტინგსიის 353-ე ადგილზე დგას და ჩოგანი ნაადრეად დააშალითა. ასევე პირველ წრეში მოუხდა მას ფლეშინგმედოუზური კორტებიდან ტრიბუნებზე აბარგება შარშანაც, როცა უსახელო რუს დმიტრი ტურსუნოვისგან იძლია.

მეორე კაცი კი, რომლის გავარდნაზეც იმ დღეს გამორჩევით ითქვა ორიოდ წინადადება, მეთოთხმეტე ნომრად განთესილი ჩილელი ფერნანდო გონსალესი იყო. შვედ სოდერლინგთან დამარცხების გამო მასზე გასაუბრების პატივი გონსალესს იმის გამო ერგო, რომ ერთი კვირის წინ ათენურ ოლიმპიურ მაგარსაფარზე ერთეულთა შორის ჩოგანი ბრინჯაოს მედალს გამოჰკრა, წყვილებში კი თვისტომ ნიკოლას მასუსთან ერთად სულაც იოქროვა კიდეც. დღეს ჩემი არ იყო, იძახდა ის სოდერლინგთან ნამატჩევს და ეს არც არავის გაჰკვირვებია — კარგი დღეები ხომ ციდან შემოდგომის მედლებივით, უკაცრავად, ფოთლებივით არ ცვივა.

ისე კი, გონსალესის დარად იმ დღეს ათენის თამაშთა მეორე მებრინჯაოვეც აოტეს. მეჩვიდმეტე ნომრად განთესილი ავსტრალიელი ალიშა მოლიკი წანწკლა სლოვაკმა დანიელა ჰანტუხოვამ გააიმასქნა. არადა, თავად ჰანტუხოვა პირველ წრეში ბეწვზე გადაურჩა მარცხს, როცა უსახელო კამილ პენთან ორი მატჩბურთის მოგერიება დასჭირდა.

თუმცა მდედრთაგან უპირველესად სახსენებელი მაინც ჩოგბურთის გიშერა ქალღმერთი სერენა უილიამსია, რომელიც ეგებ თამაშით ძველებურად ვეღარ კაშკაშებს, მაგრამ სანაცვლოდ ხორცი ისე როსკიპულად მოუტიტვლია, ხალხს კორტზე მგონი ხვადი ძაღლებიც ვეღარ შეყავს, ემანდ არ აეკიდონო. ხვადი მაყურებლები კი ჯერ-ჯერობით თავს იკავებენ, ოღონდ ეგრე თუ გაგრძელდა, ფლეშინგმედოუზზე მასობრივ ამძუვნებას — აქედან გამომდინარე ვაგლახი შედეგებითურთ — ვეღარაფერი შეაკავებს!

რაღა ბევრი გავაგრძელოთ, ტურნირის ორგზის ჩემპიონმა და მისმა უდუნდულესობამ მესამე წრისკენ მიმავალი გზა თვისტომ ლინდის ლიუატერსის ისე-რა მოგებით გაიკვალა. სერენა ამ ისე-რათიც კმაყოფილი იყო, დღეს ზორბა ანგარიშით მოსაგებად სულაც არ მითამაშია, რაც მჭირდებოდა, ისიც ზედმეტი ძალისხმევის გარეშე გავაკეთეო. ბოლოს კი ბაყვბაყვდევს მის ამსექსებელ სამოსზეც დაეკითხნენ, რაზეც სერენამ ასე მიუგო: „მე ჩემს თავს არა მხოლოდ სპორტსმენად, არამედ შოუუმენადაც ალვიქვამ. აბა, თქვენ როგორ გინდათ, რომ აქ მხოლოდ ჩოგბურთზე ვილაპარაკოთ. ეს ხომ ძალიან მოსაბეზრებელი იქნებოდა!"

ჰმ! ის, რომ მამა რიჩის უმცროსი გოგო მომავალში მსახიობობას აპირებს, ეგ არახალია ამბავია. ისიც გვახსოვს, უფრო კომედიებში თამაში მინდაო, რომ ამბობდა. მაგრამ ასეთი მონაცემებისა და გარეგნული მორთულობის ქალებს უფრო სხვა განხრის ფილმებში ვხედავთ ხოლმე. ფიქრებიც — რაღა დასამალია და — სწორედ იმგანხრისებური მოგვდის. თუმცა სერენასი ამისთვის მხოლოდ მადლობლები უნდა ვიყოთ, თორემ, აბა, მარტო ჩოგნაობაზე მართლაც ძნელი საკლავიატუროა.

ისე კი, იმ დღეს უფრო ზომიერად შემოსილმა გოგონებმაც იბურთავეს და ლიდერთაგან მაინცდამაინც არავის გასჭირვებია. ერთი ეგ იყო, ამელი მორესმომ უკრაინელ კრილენკოსთან პირველი სეტი ჩააფლავა, მაგრამ მერე ორის უკუგება იოლად და დიდი ოფლისღვრის გარეშე შეძლო. განთესილთაგან კი მოლიკის გარდა 22-ე ნომრად განთესილი ამაგდარი ბოლღარი მაგდალენა მალეევაც გააბუნძულეს. ამის გაკეთება უილიამსდების თანასოფლელმა გოგომ ანჯელა ჰეინსმა იკისრა, ვინაც უკვე 19 წლისაა და აქამდეც იმაზე უფრო აღსანიშნი ჯერ ვერაფერი გაუკეთებია, ვიდრე ეს სერენა და ვინუსის თანასოფლელობაა.

ლევან კელაურაძე



REUTERS ნიუ იორკიდან

ლეიტონ ჰიუიტი მარჯვნივ და მარცხნივ მუსრავს მეტოქეებს

ვანო გრიქურაშვილის ფოტო

ვანო გრიქუროვი: არსენს ვერავინ წაგვართმევს

ათენში წასვლამდე ძალოსანთა ნაკრების ბოლო ვარჯიშზე რომ მივედით, ცხადია, სამუშაო, თუმც ამავდროულად უცნაურად დაძაბული ატმოსფერო დაგვიხვდა. კონფლიქტს არ შევსწრებივართ, მსგავსიც არაფერი ყოფილა, უბრალოდ, მწვრთნელ-შეგირდები ცოტა დათრგუნვილები გვეჩვენნენ. ვარჯიშის დასრულების შემდეგ მოახლოებული ტურნირის შესახებ ყველამ გულიადი ისაუბრა და ოპტიმისტური განწყობა ჩვენც უმალ გადმოგვედო, მაგრამ ვანო გრიქუროვისა და ასანიძე-ჯასაბიევის ზომიერზე ზომიერმა პროგნოზებმა მაინც შეგვაფიქრიანა. ოლიმპიადა როგორ მოიარეს და ვინ რა შედეგი აჩვენა, მშვენივრად იცით. უზომოდ გახარებულ და ბედნიერ გრიქუროვთან საუბარიც გუშინ იმ ბოლო ვარჯიშით დავიწყეთ

— მეორე დღეს ათენში მივფრინავდით და, ცხადია, დაძაბულობა პიკს აღწევდა, მაგრამ დათრგუნვისა რა მოგახსენოთ. ყველა ვცდილობდით, მაქსიმალურად მობილიზებულები ვყოფილიყავით. პროგნოზების გაკეთება საერთოდ არ მიყვარს და მით უმეტეს, ისეთ მდგომარეობაში, მაშინ რომ ვიყავი, ძალიან ძნელი იყო შანსებზე საუბარი. ასანიძემ ზომ სრულყოფილად მხოლოდ სამი თვე ივარჯიშა.

— მაშასადამე მედალზე მაშინ ფიქრიც გიჭირდათ?

— გიორგი ძველებურ ჩვეულ ფორმაში ვერ იყო, თორემ მედლისთვის ბრძოლას რომ შეძლებდა, ამაში დარწმუნებული ვიყავი. ამ რწმენის გარეშე ოლიმპიადაზე საერთოდ არ გავემგზავრებოდი.

— თავად ტურნირზე როდისღა დარწმუნდით, რომ უმედლოდ არ დარჩებოდა?

— რამდენიმე კონკურენტმა პირველი წონა რომ ვერ დაძლია, მაშინ. მათ მიერ შეკვეთილი საწყისი წონები რომ ვნახე, ცოტა შემეშინდა, მაგრამ მალევე თავად დამამშვიდეს, როცა ნულები მიიღეს.

— მაინც ვის თვლიდით ასანიძის ძირითად კონკურენტებად?

— პირველ რიგში დიმასს, მერე კი ატაცში ჩავარდნილ თურქ და რუს ძალოსნებს.

— ატაცში ერთი უსიამოვნო მომენტი თქვენც გქონდათ. ბოლო ცდაზე გიორგის შტანგა დაუსვეს...

— რამდენი ხანია, ძალოსნობაში ვარ და ასეთ შემთხვევას არასოდეს შევსწრებივარ. აღვშფოთდი, მეგონა, გიორგიზე ეს ცუდად იმოქმედებდა, მაგრამ იმდენად შემართული და მობილიზებული იყო, ნერვებს არ აჰყვა, ოდნავადაც არ მოდუნებულა.

— ოლიმპიადით თუ ვიმსჯელებთ, ძველი ფორმის დაბრუნების შემთხვევაში ასანიძეს კონკურენტებთან ბრძოლა დიდად არ უნდა გაუჭირდეს.

— მაგით დამშვიდება არაფერს გვარგებს. ძველი პლეადიდან რამდენიმე ძლიერი ძალოსანი სპორტს კი დაემშვიდობა, მაგრამ მათ ნაცვლად მოდის ახალი, უფრო პერსპექტიული თაობა. ახალგაზრდა ბერძენი, თურქი და რუსი სპორტსმენები თავიანთ ნამდვილ ძალას, ჩემი ვარაუდით, 2005 წლის მსოფლიოს ჩემპიონატზე გამოაჩენენ. ორჭიდის შედეგიც გაცილებით მაღალი იქნება. ასე რომ, თუ გიორგის უნდა, წარმატებული კარიერა გაგრძელდეს, ისევე მუხლჩაუხრელად უნდა იმუშაოს, როგორც ათენის წინ.

— ოლიმპიურ 382,5 კილოგრამს როგორ შედეგად მიიჩნევთ?

— თუ სიდნეის ოლიმპიადაზე ასანიძის ფორმას გავიხსენებ, ათენური შედეგი არც ისე მაღალია, მაგრამ ეს მხოლოდ მისთვის. საერთოდ კი ბოლოდროინდელ ტურნირებში ამაზე მეტი ვერავინ ასწია.

— რას იტყვით არსენ კასაბიევზე? როგორც ეკრანიდან ჩანდა, მისმა აკვრამ ასანიძის ჩემპიონობაზე ნაკლები სიხარული არ მოგანიჭათ.

— სასწაულად გავიხარე. არსენისგან სიურპრიზებს კი ველოდი, მაგრამ ევროპის რეკორდის ხუთი კილოგრამით გადაჭარბებაზე ფიქრი წინასწარ მაინც ძნელი იყო. ამ ბიჭზე საქებარი აქამდეც ბევრი მითქვამს და ერთხელაც ვიტყვი. ისეთი პროგრესი, არსენს რომ აქვს, თავის დროზე არც კახიაშვილს ჰქონია, არც ასანიძეს და არც პოლონელ შიმონ კოლეეკის. მარტო აკვრაში ბოლო სამ წელიწადში პირადი რეკორდი 90 კილოგრამით გაუმჯობესა. თან, რაც ყველაზე მეტად მომწონს და მაკვირვებს, მისი მტკიცე ხასიათია. შეჯიბრზე სულ სხვა კაცი ხდება და ფაქტობრივად არ ნერვიულობს.

— არ იქნება, კახიაშვილზეც არ გკითხოთ. მისი ოქროს ხანა ათენით ხომ არ დასრულდა?

— დასკვნის გაკეთების უფლება არ მაქვს, რადგან სრულ ინფორმაციას არ ვფლობ, მაგრამ თუ მოინდომებს, კიდევ შეძლებს ძველი ფორმის აღდგენას. ოლიმპიადაზე წარუმატებლობის მთავარ მიზეზად კი არასათანადო მომზადებას მივიჩნევ. ამაში დამნაშავეები მწვრთნელები არიან.

— კახი არსენის კერპია და, როგორც თავად გვითხრა, დამეგობრებაც მოუსწრიათ...

— ასანიძე და კახიაშვილი ძალიან კარგი მეგობრები არიან და მიხარია, რომ ახლა მათ კასაბიევიც დაემატათ. არსენისთვის კახის გვერდით ყოფნა მართლაც დიდი ბედნიერება იყო. როცა საბერძნეთში კახიაშვილზე გამოცემული ორტომეული თავად კახიაშვილისგან მიიღო, ალალად თქვა, ასეთი საჩუქარი ცხოვრებაში არ მღირსებიაო. მისი აკვრით კი ჩვენთან ერთად კახიმაც გაიხარა.

— თავისი წარუმატებლობა ძალიან განიცადა?

— ცხადია, მძიმედ გადაიტანა, მაგრამ ჩვენთან ამაზე არც უსაუბრია. ცდილობდა ყველაფერი უთქმელად დაევიწყებინა.

— თქვენი და პოლონეთის ძალოსნობის ფედერაციის კონტრაქტი ჯერ კიდევ ძალაშია. იქაურ დელეგაციასთან როგორი ურთიერთობა გქონდათ ათენში?

— ერთმანეთთან შეხვედრა ხშირად გვიწევდა, მაგრამ კონკრეტული საუბრებისგან მეც თავს ვიკავებდი და ისინიც. ამის დროც არ გვქონდა, ჩვენ ჩვენი საქმეებით ვიყავით დაკავებულნი.

— გიორგის ჩემპიონობა თუ მოგილოცეს?

— როგორც ყველამ, ისე მათაც მომილოცეს, მაგრამ აშკარად შეეტყვე, რომ დიდად არ გახარებიათ.

— კონტრაქტის გაგრძელების ან შეწყვეტის თაობაზე როდის დაილაპარაკებთ?

— 6 სექტემბერს ვაპირებ ჩასვლას და ალბათ ყველაფერს მალევე გავარკვევ.

— თბილისში გადმოსვლა რამდენად რეალურია? ბინას და ყველანაირ პირობებს ხომ თავად პრეზიდენტი დაგპირდათ.

— მისი სიტყვები რომ თავიდან ბოლომდე საქმედ იქცევა, ეჭვიც არ მეპარება. პოლონეთში მუშაობას, ცხადია, აქ მიჯობს. სხვას რომ თავი დავანებოთ, სხვა ნიჭიერი ბიჭების გვერდით ყოფნის შანსიც მექნება.

— და კასაბიევი?

— თუ ჩემი პრობლემები მოგვარდა, ჩათვალეთ, რომ არც არსენს გაუჭირდება. მას ვერავინ წაგვართმევს.

ოთარ მაღლაკელიძე

ჰოკეი

მსოფლიოს თასი 2004 30 აგვისტო — 14 სექტემბერი

გაიხსენეთ, ვისი გოლისანი ხართ!

ჩეხეთმა ჩეხები დაჯარგა

1 სექტემბერი

ევროპული ჯგუფი

შვედეთი 4:3 ჩეხეთი

1:0 3:0 0:3

1:0 მოდინი (12), 2:0 ფორს ბერგი (23), 3:0 ოლუნდი (25), 4:0 ზეტერბერგი (31), 4:1 რუჩინსკი (44), 4:2 ჟიდლიცკი (46), 4:3 ელიაში (55)

თურმე ჩეხებსაც სცოდნიათ ჰოკეის თამაში! მრავალგზის მსოფლიოსა და ოლიმპიური ჩემპიონების ასე მოხსენება ეგებ უხერხული და გადამეტებულია, მაგრამ ფაქტი ფაქტად რჩება — მსოფლიოს თასზე ლამის ორი მატჩის განმავლობაში ჩეხები იმაში გვარწმუნებდნენ, რომ ჰოკეის თამაში არ იცოდნენ. ფინელებთან ხომ მთლად შეირცხვინეს თავი. ისეთი შთაბეჭდილება იქმნებოდა, რომ ვარსკვლავები კი არა, რომელიმე პროვინციული ქალაქის ქარხნის მუშები თამაშობდნენ.

შვედებთან თითქოს სურათი შეიცვალა. ყოველ შემთხვევაში, პირველი 10 წუთის განმავლობაში ჩეხებმა იმაზე მეტი გააკეთეს, რაც „სუომისთან“ მთელ მატჩში, მაგრამ როგორც კი „ტრე კრუნის“ ლიდერ მათს სუნდინის ჩინებული პასის შემდეგ ფრედრიკ მოდინმა ცარიელ კუთხეში შეაგდო, მეტოქეს კვლავს ორი დღის წინანდელი სენი შეეყარა — შეტევაში სავსებით უაზრო და ინერტული თამაში, დაცვაში უამრავი შეცდომა და წესების დარღვება (როდის იყო, რომ ჩეხები ასე უნიათოდ იცავდნენ საკუთარ კარს). შედეგად — კიდევ სამი გოლი, რის შემდეგაც თამაშმა თითქოს აზრი დაკარგა. არავინ იცის, რა ილაპარაკეს ჩეხებმა მეორე შესვენებაზე გასახდელში, მაგრამ ბოლო მესამედში სულ სხვა გუნდი ვიხილეთ. სტუმართა ქმედებაში მანამდე არნახული აზარტი და აგრესიულობა გაჩნდა, კვლავ დავინახეთ საფირმო ჩეხური კონტრშეტევები და მოულოდნელად თამაშს ინტრიგა დაუბრუნდა. 55-ე წუთზე პატრიკ ელაშმა ანგარიში მინიმუმამდე შეამცირა, ბოლო ორი წუთის განმავლობაში კი 6 ჩეხი გამწარებით უტევდა უმცირესობაში დარჩენილი შვედების კარს, მაგრამ მასპინძელთა მეკარე მიქაელ ტელკვისტმა ორი სასწაული მოგერიებით გუნდი ოვერტაიმისგან იხსნა.

„მართალია, დღეს დავმაცხდით, მაგრამ ზოგი ასეთი წაგება მოგებაზე უკეთესია. მესამე პერიოდში ბიჭებს გაახსენდათ, რომელი ქვეყნის ღირსებას იცავდნენ და ჩვენი ფანების ნდობაც დაიბრუნეს“ — ასეთი იყო ჩეხთა თავკაც ვლადიმირ რუჟიჩკის კომენტარი.

ამერიკული ჯგუფი

კანადა 5:1 სლოვაკეთი

2:0 1:0 2:1

1:0 ტორნტონი (4), 2:0 სმიტი (5), 3:0 განიე (25), 4:0 სან ლუი (41), 4:1 ტიბაკი (45), 5:1 სმიტი (48)

ჩეხებისგან განსხვავებით, კანადას შეუძლია, იამაყოს თავისი შვილებით. ჰოკეის დამაარსებელმა ყოველთვის იცოდნენ თამაში და იმედია, არასოდეს დაავიწდებათ...

თამამად შეგვიძლია ტურნირის ფავორიტების პირველ ორ შეხვედრას გაუთავებელი ზეიმი ვუწოდოთ. კანადელებმა მხოლოდ მათთვის ჩვეულ ბრძოლისუნარიანობა კი არ აჩვენეს, არამედ ბრწყინვალე კომბინაციური თამაში და შესაშური შეთამაშებაც. ამერიკელებმა თუ შეძლეს მათთვის ღირსეული წინააღმდეგობის გაწევა, სლოვაკებზე ამას ვერ ვიტყვით. მართალია, ევროპულ გუნდს დაწყებამდე ტრავმების ეპიდემია დაატყდა თავს, მაგრამ ამით თავს ვერ იმართლებს. სტუმრები მხოლოდ პირველი ოთხი წუთის განმავლობაში ეწინააღმდეგებოდნენ მრისხანე მეტოქეს, მაგრამ როგორც კი ჯო ტორნტონმა ზდენო ხარას შეცდომა გოლად აქცია, კანადელთა უპირატესობა ნათელი გახდა. ერთ წუთში რაიან სმიტი ბრწყინვალედ გასრიალდა და მეორედ დალაშქრა რასტრლალ შტანას კარი. კანადელებმა ამის შემდეგაც შეინარჩუნეს ტემპი და უმაღლესი სიჩქარეებითა და ლამაზი შეტევებით კიდევ არაერთხელ გაახარეს მონრეალელი გულშემატკივარი. თვით მობერებულმა მარიო ლემიემაც კი აღაფრთოვანა მაყურებელი ზუსტი პასებითა და ძალისმიერი ილეთებით.

„ცხადია, ყოველთვის არსებობს თამაშის გაუმჯობესების საშუალება, მაგრამ დღეს მთელი 60 წუთის განმავლობაში ჩინებულად ვითამაშეთ“ — თქვა ნამატჩევს დუბლის ავტორმა სმიტმა.

სამველ ღარიბიანი

ეროვნული გუნდის ვარჯიშს ალბათ არასდროს დასწრებია იმდენი ხალხი, რამდენიც საქართველოს ნაკრების გუშინდელ მეკრებას ვერ ვიტყვით, სპორტის სასახლე ხალხს ვერ იტევდაო, მაგრამ, რომ ვიცი, რამხელა აუდიტორია ჰყავს დღეს საქართველოში კალათბურთს, იმიტომ ვამბობთ სიტყვა „ბევრს"

სახალხო ვარჯიში

ნბასოციაციები სპორტის სასახლეში

მაშ ასე, ფინეთთან მატჩამდე 9 დღით ადრე საქართველოს ნაკრები სპორტის სასახლეში არასრული შემადგენლობით შეიკრიბა, ხვალ კი ყველა იმ კანდიდატს მოუყრის თავს, ვისაც თამაში შეუძლია.

აქედანვე ვთქვათ, ფინეთთან და მომდევნო ორ მატჩში ვერ ითამაშებენ ნაკრების კაპიტანი ვახტანგ ნაცვლიშვილი და „დიჟონში" მისი უმცროსი თანაგუნდელი ვიქტორ სანიკიძე. ისინი გუშინდელ ვარჯიშს კი ესწრებოდნენ, მაგრამ ტრავმები მოედანთან არ უშვებდათ. ახლოს ჩამომჯდარიყვნენ და ხან სახალისო ამბებს ჰყვებოდნენ, ხანაც დრაჟენ ბრაიკოვიჩის ვარჯიშებს ადევნებდნენ თვალს.

ვარჯიში საღამოს 8 საათზე იყო დანიშნული, მაგრამ მანამდე ბრაიკოვიჩმა გუნდი გასახდელში შეკრიბა, კარმომდგარ მატჩებში გარდაუვალ გამარჯვებაზე ისაუბრა და გამოაცხადა, გუნდს ზაზა ფაჩულია უკაპიტნებსო.

ბრაიკოვიჩის სამწყსოს დარბაზში ბლომად მოსეირე ელოდა. ჟურნალისტებთან და კალათბურთელში მოსაქმიანე ხალხთან ერთად ნაკრების ვარჯიშის სანახავად უბრალო ხალხიც მოსულიყო. ხუმრობა ხომ არაა, ბოლოს და ბოლოს, მოედანზე ნბა-ს ორი მოთამაშე ზაზა ფაჩულია და ნიკა ცქიტიშვილი იმყოფებოდა. სულ კი ათმა კალათბურთელმა ივარჯიშა, ორ ნბა-ელთან ერთად მოედანზე ეს კალათბურთელები ვიხილეთ: ირაკლი ბერიშვილი, გიორგი ნიკოლაძე, ანატოლი ბოისა, ლაშა გამყრელიძე, კოტე ტუღუში, შიო ხეცურიანი, ვალერი კილაძე და გიორგი ცინცაძე. დავით ბერძენიშვილიც იქ იყო, თუმცა წელს იტკივებდა და იგი ვარჯიშს დღეიდან შეუდგება.

ვარჯიში ჩვეულად, მოთელვა-ძუნძულით დაიწყო და კომბინაციების დამუშავებით გაგრძელდა. ბრაიკოვიჩს თარჯიმანი კი ახლდა, მაგრამ მოედანზე ამ საქმეს ნაკრების წევრი კოტე ტუღუში ასრულებდა. ბრაიკოვიჩს კომბინაციების ვარიანტები ქაღალდზე საგანგებოდ ჰქონდა დახაზული და თუ დასჭირდებოდა, ჩახედავდა ხოლმე.

მოედანს რომ გახედავდი, პირველ რიგში ნაკრების ახალი ფორმა მოგხვდებოდათ თვალში. მართალი გითხრათ, ძველი როგორი იყო, მგონი ყველას დაგვავიწყდა, რაკი ნაკრებმა ბოლოს 3 წლის წინ ითამაშა თბილისში. ნახევარს ემოსა შავი, მეორე ნახევარს კი თეთრი მაისურები. მკერდზე „GEORGIA" იყო გადაჭიმული და ლოგოს რომ დავაკვირდეთ, ცნობილი ფირმა „ჩემპიონისას" მივამსგავსეთ. მერე აღმოჩნდა, რომ ეროვნული გუნდისთვის ეკიპირება ქართულ კომპანია „საროს" დაუმზადებია, რაც ჩვენს ნაკრებს ეროვნულობის ნიშნებს ჰმატებს.

ეროვნული ნიშანი ვახსენეთ და სულ არ ვნაღვლობთ, რომ ამ მხრივ „მრუდედ" გვაქვს საქმე ჩვენი ნაკრების ნატურალიზებული ზანგის შემონდ უილიამსის გამო. მაგრამ თუ გამარჯვებაში დაგვეხმარება, გინდ ზანგი იყოს და გინდ ალბინოსი, სხვას კი, რაც უნდა, ის უთქვია. უილიამსი თბილისში ხვალ ჩამოდის და ის დაასრულებს ჩვენს ნაკრებში მოთამაშეთა ჩამოდინების პროცესს. მანამდე კი ანუ დღეს, ნაკრებს სლოვენიიდან ვლადიმერ ბოისა და მანუჩარ მარკოშვილი შეუერთდებიან. ვლადიმერ სტეფანია ალბათ აღარ ჩამოვა, მას ჯერაც არ უზღვევენ ნოპერაციევ მუხლს.

მოედანს მივუბრუნდეთ: მოსაწყენი ვარჯიშების შემდეგ მაცქერალთათვის შედარებით საინტერესო ცალფარა გაჩაღდა. ბრაიკოვიჩმა აშკარად არათანაბრად გაანაწილა ხალხი: ერთად მოხვდნენ ნიკა ცქიტიშვილი, ზაზა ფაჩულია, გიორგი ცინცაძე, ირაკლი ბერიშვილი და შიო ხეცურიანი. თუმც ძალების არათანაბარი განაწილება ბრაიკოვიჩს სულ არ ანაღვლებდა. ის წინასწარ შედგენილი გეგმის მიხედვით მუშაობდა და მოთამაშეებს არაქათს აცლიდა. ნიკა ცქიტიშვილმა თქვა კიდეც ბოლოს, ეს რა მიქნა, მაგრად დავიღალეო.

შემდეგ ორფარა, თითქოს ჩვეულებრივი კალათბურთი გაჩაღდა, ოღონდ ბრაიკოვიჩი სულთამხუთავივით ჩასფრებულიყო, თითოეულ მოძრაობას კარნახობდა ბიჭებს და თუ რამე არ მოეწონებოდა, ეპიზოდის ხელახლა გათამაშებას ბრძანებდა.

ასე „კომბინაციურ კალათბურთში" ჩამთავრდა ვარჯიში და მოთამაშეებმა მოსადუნებლად ბოლოს სამქულიანებიც გასტყორცნეს. ვარჯიშის დასრულების შემდეგ დრაჟენ ბრაიკოვიჩმა კომენტარი გააკეთა: „მგონი, ყველას კარგად ავუხსენი მოახლოებული მატჩების მნიშვნელობა. ბიჭებმა იციან, რომ ძალიან პრინციპული თამაშები გველის და ოდნავი მოდუნების საშუალება არ გვაქვს. ფინეთი საკმაოდ სერიოზული მეტოქეა და მაკედონია ხომ მასზე უარესი. ჩვენ შეგვწევს ამ გუნდების დამარცხების ძალა და არაფერი უნდა დავიშუროთ გამარჯვებისთვის."

ნიკა ცქიტიშვილისთვის ყველაფერმა კარგად ჩაიარა, ეგაა, მოქანცული იყო — „ძალიან დავიღალე. სამი კვირაა არ მივარჯიშია და მალევე დამეტყო. როგორც შევიტყე, ჩემსავითაა ნაკრების რამდენიმე წევრიც. დღეს შევუდექით სრულფასოვან ვარჯიშს და ცოტა გაგვიჭირდა. მაგრამ არაფერია, ერთ-ორ დღეში ყველაფერს შევეჩვევით, დანარჩენებიც შემოგვიერთდებიან და ფინეთთან მატჩის დღეს სრულ მზადყოფნაში ვიქნებით."

დღეიდან ბრაიკოვიჩს ორჯერად ვარჯიშებზე გადაჰყავს გუნდი. და მათ დილის თერთმეტ და საღამოს რვა საათზე დაიბარებს ხოლმე სპორტის სასახლეში. 8 საათი საკმაოდ გვიანია, მაგრამ ამას დროსთან შესაგუებლად აკეთებს ბრაიკოვიჩი, ფინეთთან მატჩიც ხომ საღამოს 8 საათზეა დანიშნული.

ირაკლი პერტაია



ვახტანგ ნაცვლიშვილი და ვიქტორ სანიკიძე ტრავმების გამო ნაკრებს ვერ დაეხმარებიან, დავით ბერძენიშვილი კი ხვალიდან შეუდგება ვარჯიშს

ბრაიკოვიჩი ფაჩულიას: ზაზა, კაპიტანი შენ იქნები

REUTERS ობამერიდან

ბაცვლა

მსოფლიოს მოქმედი ჩემპიონი რალიში ნორვეგიელი პეტერ სოლბერგი ახლა იაპონიაშია და ჰოკაიდოზე უნდა ჩაებას პირველ რბოლაში. სოლბერგს იქ ოჯახიც ახლავს და რა გასაკვირია, რომ პატარა ოლივერმა საჭის ავან-ჩავანი კარგად იცოდეს. მამა კი საწოვარათი გაერთობა.

საარჩევნო კინგი

კვლავ დონ კინგი: თავის განუყოფელი ორთ ამერიკული დროშით. კრივის დიადი და გაუნელი ერთმოყვარე რესპუბლიკური პარტიის მხარდამჭერი ყოფილა და ამ პარტიის კონვენტზეც ნაცნობი დროშების რხევით მისულა. ბუში პრეზიდენტად, ითხოვს დონი.

REUTERS ნიუ იორკიდან

დასვედრეკი



REUTERS ზაგრებიდან

ოლიმპიური ჩემპიონები ნელ-ნელა ბრუნდებიან შინ. თავადაც ოლიმპიური, თან სამგზის ჩემპიონი, ხორვატი მოთხილამურე იანიცა კოსტელიჩი ხალისით ეგებება ხორვატ ხელბურთელ ბიჭებს, რომლებმაც ათენში ოქრო მოიგეს. ბანგოკში კი ტაილანდელებმა ქუჩის მოტო-აღლუმი გაუმართეს ცეროდენა ძალოსან გოგოს, პავინა ტონგსუკს, ქვეყნის სამი ოქროდან ერთი სწორედ მისი იყო. თავად ავსტრალიის პრემიერ-მინისტრი ჯონ ჰოვარდი მიბრძანდა აეროპორტში ოლიმპიელ გმირთა დასახვედრად და ებაასა კიდეც პეტრია ტომასს (მარჯვნივ) და ბრუკი ჰანსონს. თუმცა, იმ დღეს სიდნეის აეროპორტში ოლიმპიური გმირების დამარტოხელება ძნელი იყო, რადგან ავსტრალიას კარს არჩევნები მოსდგომია და პრემიერ-მინისტრობის ყველა კანდიდატი აეროპორტისკენ გაქანდა, რათა ხალხს ოლიმპიელებთან ერთხელ ენახა ეკრანზე.

REUTERS ბანგოკიდან

REUTERS სიდნეიდან

სარბიელი

სპორტული გაზეთი

გამოიცემა 1990 წლის 28 დეკემბრიდან

გამოდის ორშაბათს, სამშაბათს, ოთხშაბათს, ხუთშაბათს, პარასკევს და შაბათს

გამომცემელი ზურაბ ფოცხვერია
დირექტორი გიორგი ოქრომჭედლიძე
რედაქტორი თამაზ მიგრიაული
რედაქტორის მოადგილე სოსო კოტორეიშვილი
ტექნიკური რედაქტორი მამუკა გუგელაძე
ქართული ფეხბურთის რედაქცია: დავით ერაძე, დავით თავართქილაძე, კობა ინასარიძე, პაატა კვანტალიანი, კახა შალამბერიძე
უცხოური ფეხბურთის რედაქცია: გიო ახვლედიანი, ილია ბაბუნაშვილი, გიორგი დარჯანია, გიორგი ვაშაკიძე, ლადო ხომერიკი, ვაჟა ხუციშვილი

ინფორმაციის რედაქციის რედაქტორი: ირაკლი ფირაშვილი
ინფორმაციის რედაქცია: გია ახალაძე, ავთანდილ გურასაშვილი, ლევან კელაურაძე, ოთარ მაღლაკელიძე, ირაკლი პერტაია
ფოტორეპორტიორები: გურამ დოლენჯაშვილი, ბადრი კეთილაძე
სტილისტები: ნათელა გიორგობიანი, ლალი გოზალიშვილი
კომპიუტერული ცენტრი: ლია ბესელია, ხათუნა ბუხუნიშვილი, ელენე გელუტაშვილი, რუსუდან ერისთავი, ფატი დვალიშვილი, მაგდა დოგრაშვილი, ზვიად მოსიაშვილი, თენგიზ ფოფხაძე, თამარ ქინქლაძე, ზურაბ წერეთელი, ირმა ჯიშკარიანი

რედაქციის მისამართი: თბილისი, ალექსანდრე ყაზბეგის გამზირი 42, II კორპუსი, IV სართული.
საფოსტო მისამართი: თბილისი — 79, საფოსტო ყუთი 208. ტელეფონი: 39 48 29
ელექტრონული ფოსტა sarbieli@gol.ge
ელექტრონული ვერსია http://www.sarbieli.com.ge